პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ოქტომბერი
კვირა
1972
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 249 (15462)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოქტომბრო ვახტა

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოციალისტური ეკონომიკის — სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუხრელი ზრდის საფუძვლის — შემდგომი აღმავლობისათვის!

უფრო ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან).

შრომითი გამარჯვებების ციფრები

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1972 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, შეასრულეს მეტ წილ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ცხრა თვის გეგმა, ნათქვამია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 6,7 პროცენტი. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 5,3 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ცალკეულმა დარგებმა 1971 წლის ცხრა თვესთან შედარებით პროდუქციის წარმოება გაადიდეს: ელექტროენერგეტიკამ — 8 პროცენტით, სათბობის მრეწველობამ — 6 პროცენტით, შავმა და ფერადმა მეტალურგიამ — 6 პროცენტით, ქიმიურმა და ნავთობქიმიურმა მრეწველობამ — 9 პროცენტით, მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ — 11 პროცენტით, ხე-ტყის, ხის დამმუშავებელმა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობამ — 5 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობამ — 7 პროცენტით, მსუბუქმა მრეწველობამ — 3 პროცენტით, კვების მრეწველობამ — 4 პროცენტით. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება 10 პროცენტით გაიზარდა.

ცხრა თვის გეგმა შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ, გაზის მრეწველობის, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროების გარდა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: 44 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 17 მილიონი ტონა ნავთობი, 7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 12 მილიონი ტონა ქვანახშირი, 2,6 მილიონი ტონა თუჯი, 3,8 მილიონი ტონა ფოლადი, 3 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 93 მილიონი მეტრი ფოლადის მილები. გაიზარდა ფერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიის, ნავთობგადამუშავების პროდუქტთა წარმოება.

საანგარიშო პერიოდში წარმოებულია მეტი: 3,3 მილიონი ტონა მინერალური სასუქები, 2,3 ათასი ტრაქტორი, 31 მილიონი მანეთის მათი სათადარიგო ნაწილები, 16 ათასი სატვირთო ავტომობილი, 209 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და 18 მილიონი მანეთის მათი სათადარიგო ნაწილები.

წარმოებულია მეტი: 113 ათასი ტონა პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები, 50 ათასი ტონა ქიმიური ბოჭკო, 68 მილიონი მანეთის ლითონსაჭრელი ჩარხები, 248 მილიონი მანეთის ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, 192 მილიონი მანეთის გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, 153 ათასი მსუბუქი ავტომანქანა, 55 მილიონი მანეთის ავტომობილის სათადარიგო ნაწილები.

გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი სახალხო მოხმარების საქონელი: 131 მილიონი კვადრატული მეტრი ყველა სახეობის ქსოვილები, 279 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 8 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 450 ათასი ტონა ხორცი, 58 ათასი ტონა კარაქი, 624 მილიონი ქილა კონსერვი, 69 მილიონი ცალი ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი, 24 მილიონი მანეთის სორტული ჭურჭელი, 310 ათასი მაცივარი, 203 მილიონი მანეთის ავეჯი, 257 ათასი ელექტრომტვერსასრუტი, 21 ათასი ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებანი.

თუმცა მთლიანად მრეწველობამ შეასრულა 9 თვის გეგმა, ნათქვამია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, მაგრამ ბევრი საწარმო ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს წარმოების შემდგომი გადიდების რეზერვებს. არის ნაკლოვანებანი საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო დროის, ნედლეულის გამოყენებაში. ყველგან ვერ უზრუნველყოფენ საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები მუშაობდნენ მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

ათვისებულია და დაიწყო 2.500-ზე მეტი ახალი სახეობის ნაკეთობათა წარმოება. მათ შორის არის თბომავლების დიზელ-გენერატორები, ცვლადი და მუდმივი დენის ელექტროგადაცემიანი სამაგისტრალო თბომავლები, რიცხობრივი პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების ახალი მოდელები, ახალი ტიპის ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი სტრუქტურული და მიკროელექტრონული ტექნოლოგია პროგრამირების შეთავსებადი სისტემებით, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში სამუშაოდ გამკუთვნილი ავტობუსებისა და ავტომობილების ახალი მოდელები, ბრინჯისა და მარცვლის ახალი თვითმავალი კომბაინი, კვების მრეწველობის მოწყობილობა და ბევრი სხვა სახეობის ნაკეთობანი.

გრძელდებოდა სამუშაოები გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის.

გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ელექტროსადგურებში სათბობის ხვედრითი ხარჯვა შემცირდა 1,1 პროცენტით. შავ მეტალურგიაში ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენება გაუმჯობესდა 2 პროცენტით, ხოლო ჟანგბად-კონვერტორული ფოლადის გამოდნობის ტევადობათა გამოყენება — 8 პროცენტით. ცემენტის მრეწველობაში მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების საათობრივი წარმადობა გაიზარდა 2 პროცენტით. ქვანახშირის შახტებში ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო მოპოვება მოქმედი საწმენდი სანგრევიდან გაიზარდა 8 პროცენტით. ბამბეულის, სელის, შალისა და აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებში გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის წარმადობა.

შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება, შესრულდა მოგების ცხრა თვის გეგმა. (საკდესი).

ყველა დაკვეთა —დროულად!

თელავი. (საკ. კორ.). ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას ემსახურება თელავის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა (დირექტორი გ. გიორგობიანი). ქარხნის წარმატებით მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული „სიუხვის არხის“ მშენებლობის მთელი რიგი სამუშაოების გეგმების შესრულება.. ამიტომ ქარხნის მუშაკები ცდილობენ დროულად შეასრულონ ყველა დაკვეთა.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წლის დასაწყისიდანვე დგას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო შრომით ვახტზე, ცხრა თვის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა — გეგმით გათვალისწინებული 1.369 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვა 1.402 ათასი მანეთის პროდუქცია. ამავე პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც.

ქართული კაბელი — ხარისხის ნიშანზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შორს არის განთქმული „საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის პროდუქცია. აქაურ კაბელს იცნობენ საბჭოთა ქვეყნის შორეულ კუთხეებში, უცხოეთში. ქართველ მეკაბელეთა ნახელავს ყველგან მოწონებით იღებენ.

ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებით ზრუნავს პროდუქციის ხარისხზე, ცდილობს იგი აიყვანოს მსოფლიო სტანდარტების დონეზე. აქაური მეკაბელეები იმაღლებენ პროფესიულ ოსტატობას ჩაბმული არიან ლაშქრობაში უწუნო მუშაობისათვის, რომ მათ გამოშვებულ პროდუქციას იღებდნენ უკონტროლოდ, პირველი წარდგენისთანავე.

ახლახან ქარხანაში იმყოფებოდა კაბელის წარმოების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერევნის ფილიალის კომისია, რომელმაც მოიწონა და ხარისხის ნიშანზე წარადგინა შლანგური და დასაყენებელი გამტარები, რადიოსიხშირის კაბელი. ეს ქარხნის კოლექტივის დიდი მიღწევაა, რომელიც მოპოვებულია სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ შეჯიბრებაში.



თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 55 წლისთავისათვის ღირსეულად შესახვედრად. მრავალმა მუშამ ვალდებულება იკისრა დღესასწაულს წლიური გეგმის შესრულებით შეხვდეს.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს წინასადღესასწაულო ვახტზე მიაღწიეს ახალგაზრდა მუშებმა, ხარატმა-მევტომატეებმა ბიძინა გვიანიშვილმა, სამველ გუსიანმა და მხეხავმა ვიქტორ ჟავორონკოვმა. მათ უკვე შეასრულეს წლიური დავალებები და ახლა 1973 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: მოწინავე მუშები, კომკავშირელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ხარატი-მევტომატეები ბ. გვიანიშვილი, ს. გუსიანი და მხეხავი ვ. ჟავორონკოვი.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

20 ოქტომბერს გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა პროფკავშირთა ამოცანები საშემოდგომო მინდვრის სამუშაოების დამთავრების, პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრების, აგრეთვე საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების საქმეში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა რეკომენდაცია მისცა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს ფართოდ გაავრცელონ კიროვოგრადისა და ბრიანსკის ოლქების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და „სოფლტექნიკის“ განყოფილებათა გამოცდილება, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება თვითეული მანქანის მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის, მინდვრის სამუშაოთა დასაწყებად ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრული მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის.

სხდომამ მოიწონა მინსკისა და ვოლგოგრადის ტრაქტორის ქარხნების, ტულის ოლქის ეფრემოვის ბიოქიმიური ქარხნისა და გემთმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს ვალდებულებანი გეგმის გადამეტებით დაამზადონ და სოფლის მეურნეობას მიაწოდონ დიდძალი ტექნიკა, მოწყობილობა, სათადარიგო ნაწილები, სამრეწველო წარმოების საკვები, აგრეთვე მრავალმხრივი საშეფო დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განსაზღვრა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის პროფკავშირთა კონკრეტული ამოცანები, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა მშრომელთა ყველა კოლექტივის, თვითეული პროფკავშირული ორგანიზაციის საპატიო საქმეა. პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს წინადადება მიეცათ შესაბამის უწყებებთან ერთად განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. გათვალისწინებულია სოფლად ქალაქის კლუბებისა და კულტურის სასახლეების, შემოქმედებითი კავშირების, ხელოვნების ოსტატთა კულტურულ-საშეფო მუშაობის ფართო პროგრამა.

1972 წლის მოსავლის წარმატებით აღებისა და გადაზიდვისათვის სოფლის მექანიზატორთა, ტრანსპორტის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნება საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელით. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წასახალისებლად პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, საგაზაფხულო თესვის სანიმუშო მომზადებისა და დამთავრებისათვის დაწესებულია საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომი.

პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ნ. შელეპინმა.

ბეღლში — მილიონ ტონაზე მეტი მოსავალი

ბელორუსიის სს რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა

ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მიმდინარე წლის ამინდის რთულ პირობებში ორგანიზებულად დაამთავრეს მარცვლეულის მოსავლის აღება და დამზადება.

წარმატებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი. სამშობლოს ბეღლებში შენახულია 1 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო სახალხო-სამეურნეო გეგმით. გადაჭარბებით შესრულდა ჭვავის, ხორბლისა და საფურაჟე კულტურების შესყიდვის გეგმები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს თესლი, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დათესეს საშემოდგომო კულტურები, ამთავრებენ საშემოდგომო სამუშაოებს და ემზადებიან პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრებისათვის, მტკიცედ იბრძვიან სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

გზა ბრძოლისა და გამარჯვებისა

სსრკ 50

„სსრ კავშირი 50 წლისაა“ — ასე ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის შექმნასა და განვითარებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. ფილმის ავტორები — სცენარისტი ვ. ბელიკოვი და რეჟისორი ი. ვენჟერი მოთხრობას იწყებენ 1922 წლის ქრონიკალური კადრებით, როცა სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე მიიღეს დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

ბევრი რამ მოხდა ნახევარი საუკუნის მანძილზე. კინოქრონიკის კადრები მაყურებლებს შეახსენებენ ამ გზის ღირსშესანიშნავ ეტაპებს. შენდება დნეპრჰესი და ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანა, ითვისებენ მშიერი ველისა და ყამირის მიწებს... მხარდამხარ შრომობენ რუსები და უკრაინელები, ყაზახები და ლატვიელები, ქართველები, სომხები, ყირგიზები — ყველა ეროვნების წარმომადგენლები. დაუვიწყარია ეპიზოდები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა ოპერატორებს გადაუღიათ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. აი მიწისძვრის შემდეგ მთელი ქვეყნის მიერ აღდგენილია ტაშკენტი, რომელიც წინანდელზე კიდევ უფრო ლამაზი გახდა.

ფილმი „სსრ კავშირი 50 წლისაა“ მთავრდება დღევანდელი დღის კადრებით — მშრომელთა დემონსტრაცია დედაქალაქის წითელ მოედანზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომა, რომელიც განიხილავს ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების გეგმებს.

ფილმს ნახავენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლები — იგი უკვე გახმოვანებულია 19 ენაზე და 60 ქვეყანამ შეიძინა. უახლოეს ხანში სურათი ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე გამოვა.

მოსკოვი.
(საკდესის კორ.).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. ვ. გეორგიევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მხარის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მობილიზაციაში დიდი დამსახურებისათვის, მარცვლეული კულტურების წარმოების მაღალი დონის მიღწევისა და 1972 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ 310 მილიონი ფუთი პურის მიყიდვისათვის სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ალექსანდრე ვასილის-ძე **გეორგიევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წლის 20 ოქტომბერი.

მებრძმედეთა წარმატება

ჩერეპოვეცი. (საკდესი). მეტალურგიული ქარხნის მეოთხე ბრძმედის ბრიგადებმა წლის დამდეგიდან 30 ათასი ტონა ზეგეგმითი თუჯი გამოუშვეს. შესრულებულია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. წლეულს ლითონის გამოდნობა ჩრდილოეთ მაგნიტკის ამ საფლაგმანო აგრეგატში 75 ათასი ტონით გაიზარდა.

მეოთხე ბრძმედი აშენდა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით. აქ შემოქმედებითი ადამიანები მუშაობენ. ნოვატორებმა წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი წარმოების სრულყოფისათვის. ამ წინადადებებმა გააუმჯობესეს ნედლეულის ხარისხი, ბუნებრივი გაზის მიწოდების სისტემა. ამის შედეგად დღის წესრიგში დაისვა გაბედული ამოცანა — წლეულს მიიღონ ორი მილიონი ტონა თუჯი — 200 ათასი ტონით მეტი, ვიდრე აგრეგატის საპროექტო სიმძლავრე ითვალისწინებს.

ვიზიტი დამთავრდა

სოჭი. 21 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სოჭიდან თეირანს გაემგზავრნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი ფარაჰ ფეჰლევი, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი

21 ოქტომბერს მოსკოვში როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი ჩამოვიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მასაესი ოჰირა. (საკდესი).

გაიხსნა უნივერსიტეტი

იჟევსკი. 20 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა უდმურტეთის კულტურულ ცხოვრებაში. დღეს რესპუბლიკის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა უდმურტეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახლა რესპუბლიკაში ხუთი უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს თხუთმეტი ათასი სტუდენტი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომობს 20 ათასზე მეტი უდმურტი, რომლებსაც სპეციალური უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ.

თორმეტი ეროვნების წარმომადგენლები სწავლობენ უდმურტეთის ახალი უნივერსიტეტის რვა ფაკულტეტზე. სწავლის პირველი წლებიდანვე სტუდენტები ჩაებმებიან აქტიურ მეცნიერულ კვლევაში. მათ განკარგულებაშია გამოთვლითი ცენტრი, ჩინებულად აღჭურვილი ლაბორატორიები.

ჩვენს დიად სამშობლოში

საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1972 წლის 10-21 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყვნენ ირანის შაჰინშაჰი, მისი უდიდებულესობა მოჰამედ რეზა ფეჰლევი და ირანის დედოფალი, მისი უდიდებულესობა ფარაჰ ფეჰლევი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს საპატიო სტუმრები და მათი თანმხლები პირები, მოსკოვს გარდა, იყვნენ ტალინში, ვორონეჟში, ალმა-ათაში, სოჭში და გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. საბჭოთა კავშირში სტუმრებს ყველგან გულთბილად და გულითადად შეხვდნენ.

მოსკოვში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება და საუბრები ირანის შაჰინშაჰთან.

მოლაპარაკებასა და საუბრებში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი, სსრ კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ეროფეევი;

ირანის მხრივ — ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი აბას ალი ჰალათბარი, ირანის ელჩი სსრ კავშირში მ. რ. ამირ თეიმური, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამდივნოს გენერალური დირექტორი ჯაფარ ნადიმი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ა. ა. მოფაჰამ-ხანი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ და გულახდილ ვითარებაში, ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები და გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

I

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობის წარმატებით განვითარებისა და განმტკიცების გამო. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობისა და სიმშვიდის ვითარება ორი ქვეყნის საზღვარზე ხელს უწყობს სტაბილურობას აზიის ამ რაიონში და მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, დამაჯერებლად ადასტურებენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის ცხოველუნარიანობას.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისა და ირანის შაჰის შეხვედრებს, აგრეთვე კონტაქტებს სხვადასხვა დონეზე და გამოხატეს მისწრაფება მომავალშიც განავითარონ ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეების, სამეცნიერო და კულტურულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ვიზიტების გაცვლა. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარებამ, რომელიც უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ხდება, დაამტკიცა, რომ მას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და განაცხადეს, რომ მზად არიან მომავალშიც განაგრძონ ასეთი აზრთა გაზიარება და რეგულარული კონსულტაციები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

საბჭოთა კავშირმა და ირანმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ურთიერთნდობის სულისკვეთებით განავითარონ და განამტკიცონ მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა სურვილს და ემსახურება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს.

II

სსრ კავშირსა და ირანს შორის ხორციელდება ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობა, ფართოვდება ვაჭრობა. მჭიდრო თანამშრომლობით აშენდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები. საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ამ ბოლო ხუთ წელიწადში ხუთჯერ და მეტად გაიზარდა. ფართოვდება გაცვლა მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში.

მხარეებმა, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიურ ურთიერთობას, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სსრ კავშირისა და ირანის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ 15 წლის ვადით. მათი აზრით, ეს ხელშეკრულება ასახავს თანამშრომლობის მაღალ დონეს და მოწმობს ორივე ქვეყნის მისწრაფებას შემდგომშიც გააფართოონ და გააღრმაონ ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური, სავაჭრო და ტექნიკური ურთიერთობა ხანგრძლივ და მყარ საფუძველზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული)

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებენ წელიწადში 4 მილიონი ტონა ფოლადის წარმოების სიმძლავრემდე ქალაქ ისპაანის მეტალურგიული ქარხნის გაფართოებაში, დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნების მშენებლობაში, ირანის ზოგიერთი რკინიგზის ელექტრიფიკაციაში და გამართავენ კონკრეტულ მოლაპარაკებას ფერადი ლითონების დაზვერვის, მოპოვებისა და წარმოების თაობაზე. მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ აწარმოებენ წინასწარ სამუშაოებს, რათა განსაზღვრონ ირანში დიდი ელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის კონკრეტული ობიექტები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის ნაყოფიერი მუშაობა და დათქვეს, რომ 1973 წლის დამდეგს გაიმართება მხარეების ექსპერტთა შეხვედრა იმ დამატებითი ობიექტების განსაზღვრისათვის, რომელთა განხორციელება შეიძლება ორივე ქვეყნის თანამშრომლობით ირანის განვითარების მეხუთე გეგმის პერიოდში.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ადრე დადებული შეთანხმებანი ორი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობის შესახებ წარმატებით სრულდება, და გამოითქვა იმედი, რომ კულტურული გაცვლის 1972-1976 წლების გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერეს ამ ვიზიტის დროს, ხელს შეუწყობს კულტურისა და სპორტის დარგში საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაფართოებას.

■ ■ ■

საბჭოთა კავშირმა და ირანმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ბევრ საერთაშორისო პრობლემაში მათი პოზიციები უახლოვდება ან ემთხვევა ერთმანეთს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისწრაფვიან მომავალშიც ყოველი ღონე იხმარონ დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამხედრო ბლოკების რაც შეიძლება მალე ლიკვიდაციას და ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო უშიშროებასა და მშვიდობას. ამ პრობლემის გადაჭრაში კონსტრუქციულ წვლილს შეიტანდა ყველა სახელმწიფოს შეთანხმება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ატომური იარაღის გამოყენების სამუდამოდ აკრძალვის შესახებ.

ირანის მხარე მიესალმება მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დროს ხელმოწერილ ერთობლივ დოკუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა კავშირი და ირანი მხარს უჭერენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას. ერთი აზრისა არიან, რომ განუწყვეტლივ უნდა ხორციელდებოდეს ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ მიზნების მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა განიარაღების მსოფლიო კონფერენციას, რომელშიც ყველა სახელმწიფო უნდა მონაწილეობდეს, და განაცხადეს, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ ასეთი კონფერენციის მოწვევას.

საბჭოთა კავშირი და ირანი მხარს უჭერენ, რომ ყველა სახელმწიფომ რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ და კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოებისა და მისი მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან პროგრესს განიარაღების გზაზე. მათ აგრეთვე გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მიაღწიონ შესაბამის შეთანხმებას ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აზიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე და მიიჩნიეს, რომ ამ რაიონში მტკიცე მშვიდობის დამყარების ეფექტიანი გზა ის არის, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ან მისი გამოყენებით დამუქრებაზე, პატივი სცენ სუვერენიტეტსა და საზღვრების ხელშეუხებლობას, არ ჩაერიონ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, რომ ფართოდ განვითარდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე. აზიის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა მოითხოვს ამ რაიონის ყველა ქვეყნის ერთობლივ მეცადინეობასა და თანამშრომლობას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახლანდელი მდგომარეობის საკითხზე აზრთა გაზიარების დროს მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ ამ რაიონში გრძელდება ომი, და მიაჩნიათ, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ რაიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარებას და ხალხთა უფლებების უზრუნველყოფას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე ისე, რომ გარანტირებული იყოს ვიეტნამელი ხალხის უფლება — თავისი ბედი განსაზღვროს უცხოეთის ჩაურევლად. მხარეებმა გამოთქვეს იმედი, რომ პარიზის მოლაპარაკებაზე განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა ბოლო მოეღოს ამ ომს.

განიხილეს რა დაძაბული მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, მხარეებმა კვლავ გამოთქვეს შეშფოთება ამ რაიონში შექმნილი საშიში ვითარების გამო. მათ საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ეცადოს მიაღწიოს სამართლიან და ხანგრძლივ მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულების შესრულების საფუძველზე. აგრეთვე აღინიშნა, რომ ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება ამ კრიზისის მოწესრიგების მთავარი პირობაა. მხარეებმა დაადასტურეს, რომ კვლავაც ხელს შეუწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იარინგის საქმიანობას უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელებისათვის. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მტკიცე მოწესრიგების გზების ძიება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პატივს სცემენ არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებებს.

საბჭოთა კავშირმა და ირანმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საკითხები, რომლებიც ეხება სპარსეთის ყურის ზონას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად უნდა გადაჭრან თვით ამ რაიონის სახელმწიფოებმა გარედან ჩაურევლად.

მხარეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა რასობრივი დისკრიმინაციისა და კოლონიალიზმის ნაშთების სრული ლიკვიდაცია, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის სწრაფი და ეფექტიანი შესრულება. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მხარი დაუჭირონ ყველა პოზიტიურ ღონისძიებას, რომლებიც ხორციელდება ამ მიზნის მისაღწევად.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, და მიაჩნიათ, რომ უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა დიდ როლს შეასრულებს ევროპის კონტინენტზე მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებისა და დასავლეთ ბერლინის თაობაზე ოთხმხრივი შეთანხმების ძალაში შესვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირმა და ირანმა დაადასტურეს, რომ ერთგულად იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის — ამ დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტის პრინციპებს, რომელიც მოწოდებულია ეფექტიანად შეუწყოს ხელი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებას და განმტკიცებას.

მხარეები მხარს უჭერენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ზღვის სივრცეების რეჟიმს, და საჭიროდ მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო საფუძველზე გადაიჭრას ისეთი მომწიფებული პრობლემები, როგორიც არის ტერიტორიული წყლების სიგანის 12-მილიანი ზღვარის დამკვიდრება, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, და აცხადებენ, რომ მზად არიან კვლავაც ითანამშრომლონ ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებთან ამ მიზნების მისაღწევად.

საპატიო ირანელმა სტუმრებმა გულწრფელად მიულოცეს საბჭოთა ხალხს სსრ კავშირის შექმნის მომავალი 50 წლისთავი და საბჭოთა კავშირს უსურვეს შემდგომი პროგრესი და აყვავება.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ირანის შაჰინშაჰისა და დედოფლის ვიზიტი სსრ კავშირში და გამართული მოლაპარაკება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ირანის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ნდობისა და საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის ხალხთა და საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ირანის შაჰინშაჰმა და დედოფალმა გულითადი მადლობა გადაიხადეს გულთბილი და გულწრფელი მასპინძლობისათვის, რაც საბჭოთა ხელმძღვანელებმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ხალხმა გაუწიეს მათ და მათ თანმხლებ პირებს.

ირანის შაჰინშაჰმა სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს ირანს. ამ მიწვევაზე მადლობით დათანხმდნენ. ვიზიტის თარიღს მოგვიანებით დაადგენენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამას წინათ ლ. ნ. სმირნოვის თავმჯდომარეობით, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რ. ა. რუდენკოს და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ვ. ი. ტერებილოვის მონაწილეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ახალი ვადით აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, პლენუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების შესაბამისად, დაამტკიცა სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობა. კოლეგიათა თავმჯდომარეებად დაამტკიცეს: სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა — ვ. ე. პანიუგინი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიისა — ე. ა. სმოლენცევი, სამხედრო კოლეგიისა — ვ. ი. ლაპუტინი.

პლენუმმა განიხილა სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულისა და დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩათრევის საქმეთა გამო და მიუთითა სასამართლოებს, რომ უნდა სრულყონ საქმიანობა არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისათვის, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ გაძლიერდეს სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ზეგავლენა. პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გამოავლინონ ის პირები, რომლებიც მოზარდებს ითრევენ ლოთობასა და დანაშაულებრივ საქმიანობაში, და განუხრელად დაიცვან კანონები ამ ქმედობისათვის პასუხისგების შესახებ.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი ხულიგნობის გამო საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ ხულიგნობა, ისევე როგორც წინათ, განეკუთვნება საშიშ სამართალდარღვევათა რიცხვს, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს, მოქალაქეთა სიმშვიდეს, რომ მას ხშირად მოჰყვება უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, და მიუთითა, რომ ხულიგნობასთან ბრძოლა სასამართლო ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პლენუმმა, რომელიც ხელმძღვანელობდა იმით, რომ ხულიგნური მოქმედება მეტ წილ შემთხვევებში ლოთობის ნიადაგზე ხდება, წინადადება მისცა სასამართლოებს სასჯელის გამოტანისას განიხილონ საკითხი, რომ ხულიგნობის ჩადენის მომენტში დამნაშავის სიმთვრალის ფაქტი ცნონ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. სასამართლოებს მიეცათ წინადადება, რომ ეს აუცილებლად აღნიშნონ განაჩენში და განაჩენი შეატყობინონ საზოგადოებრიობას, დასჯილი პირის სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პლენუმმა დამატებითი განმარტებანი მისცა სასამართლოებს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხულიგნობისათვის.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გამო სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ.

თათბირი პარტიული დოკუმენტების გამოცვლის საკითხებზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პარტიული დოკუმენტების გამოცვლა დიდ მოსამზადებელ მუშაობას მოითხოვს. საჭიროა სრულ წესრიგში მოვიყვანოთ პარტიული მეურნეობა. მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციებში არ გვყავდეს სტაჟგადაცილებული კომუნისტები, პარტიული სახელი მოეხსნას ყველას, ვინც ღირსია.

სწორედ ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების, დიდი მშენებლობების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელიც ამას წინათ მოაწყო პარტიის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქითანავამ.

რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში საქმის წარმოების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ზ. დოლიძე.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ შ. ქობალიამ.

რაიკომის სალექციო დარბაზში

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ონის რაიკომის სალექციო დარბაზში ჩატარდა პოლიტიკური მომხსენებლების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და პოლიტინფორმატორთა მორიგი სემინარი.

სემინარზე მოხსენებით — „ძირეული პრესის ამოცანები სოციალისტური შეჯიბრების როლის ამაღლების საქმეში“ — გამოვიდა რაიონული გაზეთის რედაქტორი ს. თოდაძე. ლექცია თემაზე „სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“ წაიკითხა პარტიის ონის რაიკომის ინსტრუქტორმა ე. სულაძემ. მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობის მეთოდურ საკითხებზე სემინარის მონაწილეებს ესაუბრა პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე შ. ჯინჭარაძე.

ვ. ცირეკიძე.

ტექნიკა და ადამიანი

ტრაქტორს ენა რომ ჰქონდეს!..

რატომ არ უვლიან სასოფლო-სამეურნეო მანქანებს?

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელიწადი მიიწურა. მოსავლის აღების დამთავრებასთან ერთად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომავალი წლის უხვ მოსავალს აქედანვე ეყრება საფუძველი. მინდვრის ყველა სამუშაოს წარმატებით ჩატარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ საზოგადოებრივი მეურნეობები საშემოდგომო მინდვრის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებული ტექნიკის ზამთარში შენახვას და მისი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მომზადებას. მაგალითისათვის კარგი იქნება გავიხსენოთ მიმდინარე წლის გაზაფხულის გაკვეთილი.

მიმდინარე წელს კარგად მოამზადეს ტექნიკა თელავის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, ცხაკაიას, ზუგდიდის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ რაიონში ადგილი ჰქონდა დიდ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. მიმდინარე წლის 1 მარტისათვის, ე. ი. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების პერიოდისათვის, რესპუბლიკის 14 რაიონის კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ შესრულებული ტრაქტორების, გუთნების, სათესებისა და კულტივატორების რემონტის გეგმები, განსაკუთრებით ცუდად იდგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადყოფნის საქმე. მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა რემონტის გეგმაში არ შეიტანეს ყველა სარემონტო მანქანა-იარაღი, რის გამო ადგილი ჰქონდა შეუსაბამობას რემონტის გეგმის შესრულებასა და ტექნიკის მზადყოფნის საქმეში. მაგალითად, ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში მზად იყო ტრაქტორების 46 პროცენტი, ონისაში — 58 პროცენტი, სამტრედიისაში — 69 პროცენტი, დმანისის — 70 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 72 პროცენტი, ასპინძის, ვანის და აჭარის ასსრ — 73 პროცენტი, ხოლო ტრაქტორების რემონტის გეგმა ამავე რაიონებში შესრულებული იყო შესაბამისად: 100 პროცენტით, 87 პროცენტით, 200 პროცენტით, 115 პროცენტით, 167 პროცენტით, 111 პროცენტით, 104 პროცენტით.

ასეთი რამ, რომ აღარ განმეორდეს, ახლავე უნდა დავსახოთ საქმიანი ღონისძიებანი. ამჟამად რაიონებში ძირითადად დამთავრებულია ტექნიკის რემონტის გეგმების შედგენა, მაგრამ ისინი მოითხოვენ გადასინჯვას. მეურნეობებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს ამ პარკის მზადყოფნაც საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

საჭიროა არა მარტო დროულად მოვამზადოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკი, არამედ აგრეთვე უზრუნველვყოთ მისი მაღალნაყოფიერი გამოყენება. ეს კი გაკეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკის მუდმივად მზადყოფნა იმ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებით, რომლებსაც ითვალისწინებს მანქანების ტექნიკური მომსახურების, რემონტისა და შენახვის წესები. ამ წესებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მანქანა-ტრაქტორთა პარკის შენახვას როგორც მინდვრის სამუშაოების ჩატარების პარალელურად, ისე ხანგრძლივ ზამთრის პერიოდში შენახვის დროს.

ცუდი მდგომარეობა იყო მიმდინარე წელს ტექნიკის მოვლა-შენახვის საქმეში მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში. ცნობილია, რომ შენახვის სახელმწიფო ერთიანი წესები ითვალისწინებს იარაღ-მანქანების გაწმენდას, შეზეთვასა და საყრდენებზე დაყენებას ისე, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანის მუშა ორგანოები არ ეხებოდნენ ნიადაგს და არ იჟანგებოდნენ. ამასთანავე გათვალისწინებულია, რომ მათი შეზეთვა ხდებოდეს სქელი საცხით. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი მექანიზატორი მანქანების შეზეთვას საერთოდ არ აწარმოებს, უფრო მეტიც, სამუშაოდან გამოთავისუფლებულ მანქანებს ტოვებენ გაუწმენდავად, საყრდენებზე დაუდგმელად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ხერსონის ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ინჟინრის დუდარენკოს მიერ შემუშავებულ იქნა მანქანების შენახვის მოწინავე მეთოდი. ამ მეთოდით სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები იფარება იაფფასიანი ბიტუმის ხსნარით, რაც უზრუნველყოფს ღია მოედნებზე მანქანების შენახვას მთელი სეზონის განმავლობაში; საყრდენები მზადდება ჯართისაგან, რაც ყველა კოლმეურნეობაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ 1970 წელს ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩაატარა რესპუბლიკური თათბირი-სემინარი, სადაც მოწვეული იყო დუდარენკოც და ნაჩვენები იქნა პრაქტიკულად ყველა ეს პროცესები. ამის შემდეგ ანალოგიური სემინარები ჩატარდა რესპუბლიკის რვა რაიონში, ამ ღონისძიების გატარებამ დადებითი შედეგი გამოიღო და აღნიშნული მეთოდი დაინერგა მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში.

მახარაძის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველომ მოაწყო სპეციალური სემინარი შენახვის ახალი მეთოდის პრაქტიკული ჩვენებით, დააწესა მკაცრი კონტროლი შენახვის წესების დაცვაზე. ეს ძალიან კარგია... მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მათაც შეასუსტეს მუშაობა ამ მხრივ, უღალატეს კარგ ტრადიციებს.

მანქანების შენახვის მოსაწესრიგებლად არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, აბაშის, თიანეთის, დუშეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ მანქანა-იარაღების სწორი მოვლა-შენახვის მნიშვნელობას, ზამთრისათვის ტოვებენ გაუსუფთავებელ მანქანებს, კომბაინებიდან არ იხსნება და ცალკე არ ინახება ჯაჭვები, ღვედები, ელექტრომოწყობილობა, რაც იწვევს ტექნიკის მწყობრიდან ნაადრევად გამოყვანას. დროა შეიგნონ კოლმეურნეობათა მუშაკებმა, რომ ტექნიკა ეფექტს იძლევა მხოლოდ მისი სწორი მოვლა-შენახვისა და გამოყენების შემთხვევაში.

შარშან ჩატარებულმა ტექნიკურმა დათვალიერებამ გამოავლინა ტექნიკის განკომპლექტების მრავალი ფაქტი. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში განკომპლექტებულია რვა ტრაქტორი და ორი მარცვლის ასაღები კომბაინი, ზუგდიდის რაიონში — ხუთი ტრაქტორი, აბაშის რაიონში — ოთხი, ლაგოდეხის რაიონში — სამი.

სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა არა მარტო კოლმეურნეობებშია, არამედ სამეცნიერო-საკვლევ და სასწავლო ინსტიტუტების ექსპერიმენტულ და სასწავლო მეურნეობებშიც. სამინისტრომ მიმდინარე წლის შეამოწმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თელეთის, მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუხრანის და მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობების და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო მეურნეობაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-შენახვისა და ტექნიკური მომსახურების მდგომარეობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ამ მეურნეობებში ყურადღება არ ექცევა მინდვრის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაწმენდის, სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისა და მოვლა-შენახვის საქმეს. სწორედ ამის შედეგად ბევრი მანქანა-იარაღი ნაადრევად გამოსულია მწყობრიდან ან განკომპლექტებულია. ტრაქტორი რომ მეტყველი იყოს, ალბათ ხმას აიმაღლებდა ასეთი დაუდევრობისათვის და პასუხს მოსთხოვდა დამნაშავე პატრონს.

თელეთის მეურნეობაში განკომპლექტებულია ერთი ტრაქტორი, ორი საკვების დამრიგებელი მანქანა, მუხრანის მეურნეობაში განკომპლექტებულია ერთი ტრაქტორი, ხოლო მარცვლისა და სილოსის ასაღები კომბაინები ინახება წესების უხეში დარღვევით. სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სათადარიგო ნაწილები მიმოფანტულია მანქანების სადგომ ტერიტორიაზე ჯართთან ერთად. მანქანები დაყენებულია უსაყრდენებოდ, გაუწმენდავად. მუშა ორგანოები არ არის დაცული კოროზიისაგან სქელი საცხით, ღვედები და ჯაჭვები არ არის შეხსნილი... შენახვაზე დაყენებული კომბაინების, ტრაქტორების და სხვა მანქანების საბურავები დგანან წყლის ქვეშ, რის შედეგადაც მათი უმრავლესობა ნაადრევად გამოსულია მწყობრიდან. ამ მეურნეობებში არ იძებნება ტექნიკის შენახვისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა. არ ნიშნავენ შენახვისათვის პასუხისმგებელ პირებს. არ ითვალისწინებენ მექანიზატორებზე პრემიების გაცემას ტექნიკის კარგი შენახვისა და გამოყენებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, როგორც მისი სახელწოდებაც მეტყველებს, უნდა იყოს ყოველმხრივ საჩვენებელი, რათა სტუდენტებმა აქ შეისწავლონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაქსიმალურად გამოყენების ხერხები, მისი შენახვისა და მოვლის მეთოდები, სტუდენტებმა უნდა მიიღონ და აითვისონ მანქანებით მუშაობის პრაქტიკული ჩვევები და გამოცდილება. მიუხედავად ამისა, აქ სამანქანო პარკის მოვლა-შენახვისა და გამოყენების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მეურნეობაში 28 ტრაქტორიდან შემოწმების დღისათვის 9 ტრაქტორი არასამუშაო მდგომარეობაში იყო. მეურნეობამ სათადარიგო ნაწილების რეზერვის შესაქმნელად სხვადასხვა მეურნეობიდან შემოზიდა 8 ცალი წუნდებული ტრაქტორი, რაც არასწორია. აქ არ არის მოწყობილი ტექნიკური მომსახურება. ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტს ატარებენ ღია ცის ქვეშ რემონტის ტექნოლოგიის ელემენტარული წესების დაუცველად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ზოგიერთი და განსაკუთრებით ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი მანქანების არადანიშნულებით გამოყენების ფაქტებს. ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში ავტომოძრავ სახელოსნოებს იყენებენ მუშახელის გადასაყვანად, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში სხვა დანიშნულებით არის გამოყენებული ტექნიკური მომსახურების 8 აგრეგატი, სიღნაღის რაიონში 2, გურჯაანის და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობებში თითო აგრეგატი.

მომავალ წელს მინდვრის სამუშაოებისათვის მომზადების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ტარდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის წლიური ტექნიკური დათვალიერება. მისი დანიშნულებაა გამოავლინოს პარკის ტექნიკური მდგომარეობა, უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკის სათანადო შენახვა, სარემონტო მანქანების გამოყოფა და წუნდების სისწორის დადგენა. კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამმართველოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ვალდებულია მიიღოს საჭირო ზომები დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

საშემოდგომო მინდვრის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებული მანქანა-იარაღები დაუყოვნებლივ უნდა დავაყენოთ შესანახად წესების ზუსტად დაცვით, სარემონტო მანქანები უნდა ჩავაყენოთ რემონტში „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების სახელოსნოებში, ან ადგილებზე გრაფიკის მიხედვით, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მექანიზატორთა და რემონტის მუშაკთა შორის მანქანების მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის. ეს კი იქნება იმის მტკიცე საწინდარი, რომ რესპუბლიკის მექანიზატორები მომზადებულნი შეხვდებიან მომავალი წლის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას და სათანადო წვლილს შეიტანენ მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებების წარმატებით შესრულების საქმეში.

გ. აბალაკი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

კომკავშირული ცხოვრება

შემოდგომა წინანდალში

მეურნეობის ახალგაზრდებთან

წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — შემოდგომის ამ დღეებში ვიყავით. იმ დღეს თითქოს ჯიბრზე [illegible]ვდა, მაგრამ ხალხმა გამო[illegible]ბას როდი დაუცადა. ყველა აგროუბანში შრომობდნენ [illegible] ადამიანები. [illegible]მიანები კი თავს იქნევდნენ და ამბობდნენ: წელს ნაადრევი შემოდგომა იყოო. ყურძენს მზე და სინათლე აკლდაო. ეს იცოდა თვითეულმა მევენახემ, მაგრამ მაინც ჩქარობდნენ, ჩანს, ბუნების ჭირვეულობისა ეშინოდათ. გრძნობთ, ის ადამიანები, რომლებიც ბევრჯერ შესწრებიან ამ მადლიანი მიწის ზეიმს, კმაყოფილნი არ არიან — უჩვეულო ცივი ზამთრისა და გვალვიანი ამინდების გამო მათი რთველი ძველებურად ბარაქიანი როდი იყო.

მეურნეობის დირექტორი გ. ბოგველიშვილი გვეუბნება: ჩვენმა კოლექტივმა არ დაიშურა ენერგია. ყველაფერი იღონა სტიქიის წინააღმდეგ, მაგრამ ბუნებამ გვძლია, დაზარალდა ვაზის გარკვეული ნაწილი. როგორც უკვე ხედავთ, ყურძნის კრეფასთან ერთად უკვე ახალი ვენახის გაშენებისათვის ვემზადებით. „თელიანში“ კაბერნე და საფერავი გაშენდება, „ხშირსა“ და „გრძელ მინდორში“ — რქაწითელი. დიდი შრომა გველის — ახალი ვაზი გეგმით 40 ჰექტარზე უნდა გაშენდეს, ვცდილობთ 100 ჰექტარზე ჩავამწკრივოთ ნამყენი ვაზი.

მეურნეობაში მუშათა დიდი ნაწილი ახალგაზრდებია, საქვეყნოდ, საშვილიშვილო საქმეში ჭაბუკები და ქალიშვილებიც მონაწილეობენ. სასახელო შრომაა გაჩაღებული კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში, რომელსაც ლარისა ფირანიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას სამი ათეული ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს გაპიროვნებული, ყველა სამუშაოს ახალგაზრდები ასრულებენ.

ახალგაზრდებს არც ფანტაზია აკლიათ. მათ ხეხილის შესაწამლი აგრეგატი „ოვტ-1“ გადააკეთეს ვენახის შესაწამლ მაღალი წარმადობის აპარატად, რამაც მეურნეობას დროისა და ფულადი სახსრების საგრძნობი ეკონომია მისცა, ამასთან აამაღლა შრომის ნაყოფიერება და ოპერაციის ხარისხი.

ხელმძღვანელები და სპეციალისტები კმაყოფილნი არიან ახალგაზრდების შრომით, მათს ავანგარდში კი კომკავშირელები დგანან. ისინი ბევრი კარგი საქმის მოთავენი და წამომწყებნი არიან. მეურნეობის 7 კომკავშირული ორგანიზაციიდან ოთხი უშუალოდ აგროუბნებშია ჩამოყალიბებული, ათობით კომკავშირული ჯგუფი უშუალოდ მონაწილეობს დოვლათის შექმნაში, ახალგაზრდები ინდივიდუალური პერსპექტიული გეგმებით შრომობენ. მოწინავე კომკავშირელები ს. მინდაძე, ო. ვაყელიშვილი, გ. მოდებაძე და დ. ქევხიშვილი წელს სკკპ წევრობის კანდიდატებად მიიღეს.

თვალნათლივ ჩანს ახალგაზრდების წარმატებები, ამას აღწევენ იმით, რომ მოწოდების სიმაღლეზე დგას კომკავშირულ-ორგანიზატორული მუშაობა. პარტიული ორგანიზაციის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სისხლსავსე და შინაარსიანია მათი საქმიანობა. ცოცხალი, ქმედითი კომკავშირული კრებები ახალგაზრდების აღზრდის ნამდვილი სკოლაა. დიდი ყურადღება ექცევა კომკავშირელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, ღრმად სწავლობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. გარკვეული ნაწილი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებს ცოდნას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. აქ ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები მიმდინარე პოლიტიკის, საშინაო და საერთაშორისო, ეკონომიკის საკითხებზე.

— წინანდლელი ახალგაზრდების შრომა და ცხოვრება მისაბაძია რაიონის ახალგაზრდობისათვის, — გვითხრა კომკავშირის [illegible] პირველმა მდივანმა [illegible]ოიბაშვილმა, — მათს საქმიანობას უნარიანად [illegible] მეგუთნიშვილი, რომელიც საშუალო სკოლის მერხიდან მოვიდა აქ სამუშაოდ. იქნებ დაგაინტერესოთ ამ ციფრმაც — ორგანიზაცია, რომელსაც იგი ამ ექვსიოდე წლის წინათ ჩაუდგა სათავეში, 67 წევრს ითვლიდა, ახლა კი 320-ია. მან პირადი მაგალითით გაიყოლია სოფლის ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი და ახლა ხალისიანად მონაწილეობენ სახალხო დოვლათის შექმნაში.

ახალგაზრდა მექანიზატორებს თავისუფალ ნაკვეთებზე უკვე შეუტანიათ მინერალური სასუქები და რიგთაშორისებს შორის ხვნას შესდგომიან. კომკავშირელი მექანიზატორები ვ. გრიშკაშვილი, რ. კაკრიაძე, გ. დათუკიშვილი, ვ. ლუარსაბოვი, ა. მესხიშვილი და სხვები საშემოდგომო სამუშაოებს მაღალხარისხოვნად ატარებენ. მექანიზატორები ა. ნინოშვილი, შ. რობაქიძე, თ. შიუკაშვილი და სხვები საშემოდგომო თავთავიან კულტურებს თესავდნენ.

და განა მარტო ეს ახალგაზრდები მონაწილეობენ პირუტყვისათვის საკვების დამზადება - დაბინავებაში. ახლა საკვებმომპოვებელთა ორი კომკავშირული რგოლი საქმიანობს, პირველმა რგოლმა, რომელმაც სილოსის დამზადება ითავა, უკვე დაამზადა 400 ტონაზე მეტი სილოსი, მეორე რგოლმა საიმედოდ დააბინავა 120 ტონა თივა და 85 ტონა ნამჯა.

ახალგაზრდებმა შრომა-გარჯასთან ერთად შინაარსიანი გართობა-დასვენებაც იციან. მათ უყვართ ხელოვნება და ლიტერატურა, სპორტი, კარგი საზოგადოებრივი წესრიგითაც იმსახურებენ სოფლის მადლობას. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ უკვე მეორე წელია აქ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არცერთი ფაქტი არ მომხდარა.

მთელ რაიონში და მის გარეთაც გაითქვა სახელი კულტსახლთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილმა ახალგაზრდობის კლუბმა „სიჭაბუკემ“, იგი ყველა მასობრივი ღონისძიების მოთავეა სოფელში. მისი ინიციატივით ხშირად ტარდება შემოქმედებითი საღამოები, სეირნობანი, შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, საშუალო სკოლების უფროსკლასელებთან და კურსდამთავრებულებთან, აწყობენ წვევამდელთა საზეიმო გაცილებას. ამას წინათ კლუბში გაიმართა 6 თაობის — 20-იანი წლების, კოლექტივიზაციისა და დიდი სამამულო ომის პერიოდების, [illegible], სამოციანი და სამოცდაათიანი წლების კომკავშირელთა შეხვედრა. ბევრი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას.

მეურნეობის ახალგაზრდებს ხშირად შეხვდებით ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის კეთილმოწყობილ ბაზებსა და მოედნებზე, ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს 15 სპორტული სექცია. მათ შორის ნაყოფიერი საქმიანობით გამოირჩევიან ტურიზმის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჭადრაკის სექციები. ფეხბურთის გუნდი კი რაიონის არაერთგზის ჩემპიონია და წელსაც არ დაუთმია პირველობა. ხშირად ეწყობა კროსები, ტურისტული ლაშქრობანი, სპორტული სანახაობანი, შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში.

ვემშვიდობებით მეურნეობის მესვეურებს, ახალგაზრდებს და გვჯერა მათი ვაზისადმი სიყვარული, შრომის კულტურა, მონდომება და შემართება, ასე რომ ამშვენებს მათ.

ე. მამალაძე,
ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათზე: წინანდლის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის საკვებმომპოვებელთა რგოლის წევრები უხეში საკვების დაზვინვაზე.

შ. შარაშიძის ფოტო.

სამართლებრივი ცოდნა — ყველას

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამო „სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი საერთო საქმეა“. საღამო მოაწყვეს საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ.

საღამოზე შეიკრიბნენ ქარხნის მუშაკები, რომლებმაც დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებანი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვ. ფარქოსაძისა — „სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშვნელობა“, ქალაქ თბილისის პროკურორის შ. ლეჟავასი — „საზოგადოებრიობის როლი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ა. ლუღუნიშვილისა — „საბჭოთა შრომითი კანონმდებლობა მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების სადარაჯოზე“.

საღამოზე გამოვიდნენ აგრეთვე ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე გ. გიორგობიანი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. გეგია და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი გ. დოლიძე.

• • •

ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტში მოეწყო საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ხუთდღიური, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, რესპუბლიკის პროკურატურამ ტრესტის პარტიულ კომიტეტთან, პროფკავშირის სამშენებლო კომიტეტთან, კომკავშირის კომიტეტთან და საზოგადოება „ცოდნის“ პირველად ორგანიზაციასთან ერთად.

ხუთდღიური დაიწყო თეორიული კონფერენციით თემაზე „მეცნიერება და კანონი“. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. პაპიძემ. შემდეგ მოისმინეს მოხსენებანი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტის ე. მეტრეველისა — „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაულია“, ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლის ვ. ქვანიასი — „დანაშაულის თავიდან აცილება და პროფილაქტიკა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მთავარი ამოცანაა“, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორის დ. ჩიტლოვისა — „ლოთობა დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია“ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტის ე. ელბაქიძისა — „შრომითი ხელშეკრულება და შრომის დისციპლინა“.

ხუთდღიურის მანძილზე ტრესტის სხვადასხვა საწარმოში, უბნისა და სხვა ქვეგანაყოფებში გაიმართა ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები. მაგალითად, რკინა-ბეტონის ნაწარმის კომბინატში მოეწყო ლექცია „ახალი დებულებანი ოჯახისა და ქორწინების კანონმდებლობაში“, ხოლო ტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორაში გაიმართა საუბარი საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ, სახლსაშენებელ კომბინატში, „ბინმშენის“, „სპეცმშენის“ და „ქიმმრეწვმშენის“ სამშენებლო სამმართველოებში მოეწყო თემატური საღამოები „სიახლენი საბჭოთა შრომითს კანონმდებლობაში“, „ოჯახი და კანონი“ და სხვ. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის იუსტიციისა სამინისტროსა და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკები

(საქინფორმი).

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რუმინელო სტუმრებო!

ძმური მეგობრობა

დღეს ჩვენს დედაქალაქში ჩამოდიან რუმინელი ხალხის რჩეული შვილები, ჩამოდის რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე შტეფან ვოიტეკი.

ქართველი და რუმინელი ხალხების მეგობრობა ძნელბედობის ხანს ჩაისახა. რუმინელ ხალხს, ისევე როგორც ქართველ ხალხს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, უცხო მოძალადეთა წყალობით, არაერთი მძიმე დღის გადატანა მოუხდა. მაგრამ განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა XV საუკუნიდან, როცა რუმინეთსა და საქართველოსაც თურქი დამპყრობლების სახით საერთო მტერი გაუჩნდათ — XV-XVIII საუკუნეების რუმინეთისა და საქართველოს ისტორია ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც წყლის ორი წვეთი. რუმინულ მატიანეებსა და საისტორიო თხზულებებს რომ კითხულობ, თვალწინ საქართველო გიდგას. შტეფანე დიდის ისტორიას რომ ეცნობი, ასე გგონია აღმოსავლეთ რუმინეთის ისტორიას კი არა დასავლეთ საქართველოს ისტორიას კითხულობ, ოღონდ იქ სოლომონ პირველისა და ხრესილის მინდვრის ნაცვლად შტეფანე დიდი და ვასლუი ჩანს; საკმარისია რუმინელი ვახტანგ VI-ის ისტორიას გაეცნოს, რომ მას თვალწინ ერთად დაუდგეს კონსტანტინე ბრინკოვიანუ და დიმიტრი კანტემირი.

სწორედ ბედის ერთობამ დააკავშირა ერთმანეთს რუმინელი და ქართველი ხალხები XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ხოლო ამ ორი ხალხის ერთობა სიმბოლურად ანთიმოზ ივერიელისა და მისი მოწაფის რუმინელი ოსტატის მიჰაის ურთიერთობასა და მოღვაწეობაში გამოიხატა.

ტყვედ გატაცებული და მონად გაყიდული ქართველი ჭაბუკი ანდრია შემდგომ მრავალმხრივ განათლებული და ჩინებული მესტამბე ანთიმოზ ივერიელი (ქართველი) 1690 წელს კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მიიწვია ვალახიაში (რუმინეთი), სადაც იგი 25 წლის განმავლობაში, თავის მფარველ კ. ბრინკოვიანუსთან ერთად დაუცხრომლად იღვწოდა და ვალახიაში გაშლილი დიდი კულტურული საქმიანობის მეთაურთაგანი იყო. კ. ბრინკოვიანუმ და ანთიმოზ ივერიელმა ვალახია გადააქციეს კულტურის ცენტრად, რომელიც თურქეთის უღელქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების საბრძოლველად გამოღვიძებას ემსახურებოდა. ამიტომ ბეჭდავდა ანთიმოზი წიგნებს რუმინულ, სლავურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე. ამიტომ უწყობდა იგი ხელს სტამბების გახსნას აღმოსავლეთის ქვეყნებში.

შემთხვევითი როდია, რომ რუმინეთის ეკლესიის სათავეში მყოფი, პატივითა და დიდებით მოსილი ანთიმოზი, რუსეთ-თურქეთის ომის დროს უდიდეს სარისკო ნაბიჯს დგამს — ბედავს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმას, რის გამო სიცოცხლე წამებით დაასრულა 1716 წელს.

ანთიმოზი ჩვენ წარმოგვიდგება არა უბრალოდ ფანატიკურად გატაცებულ სასულიერო მოღვაწედ და მწიგნობრად, არამედ ფართო პროგრამის პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელიც, უანგაროდ ემსახურებოდა რა თავის მეორე სამშობლოს — რუმინეთს, იღვწოდა თურქეთის უღელქვეშ მყოფი ხალხების გამოხსნისათვის, მათ შორის თავისი სამშობლო-საქართველოს გამოხსნისთვისაც. ამიტომაც არის, რომ ანთიმოზი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა საქართველოდან თხოვნას.

როგორც ცნობილია, ანთიმოზ ივერიელმა და კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ვახტანგ VI-ის თხოვნით საქართველოში გამოგზავნეს ჩინებული რუმინელი ოსტატი, ანთიმოზის მოწაფე მიჰაი უნგროვლახელი (რუმინელი), რომელიც გახდა ფუძემდებელი თბილისში პირველი ქართული სტამბისა, სადაც 1709 წელს პირველი წიგნი დაიბეჭდა, ხოლო 1712 წელს იმავე სტამბიდან გამოვიდა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" პირველი ნაბეჭდი ცალები.

ანთიმოზისა და კ. ბრინკოვიანუს დაღუპვის, ხოლო შემდეგ ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მარცხის გამო რუმინეთ-საქართველოს ესოდენ მტკიცედ საძირკვლადადებული კულტურული ურთიერთობის გაგრძელება ვეღარ მოხერხდა. მაგრამ როგორც საარქივო საბუთები მოწმობენ, რუმინელ მოღვაწეთა ინტერესი საქართველოსადმი არ შენელებულა. (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუმინელი დიპლომატები სისტემატურად კურსში იყვნენ საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ და ხშირად რუსეთის დიპლომატებს სათანადო ინფორმაციებსაც კი აწვდიდნენ).

XVIII საუკუნის ბოლოს არაერთი ქართველი მოღვაწე (ბესიკი, გაიოზ რექტორი და სხვ.) იყო რუმინეთში და ახლო გაიცნო რუმინელ ხალხს და მის ცხოვრებას (რუმინეთში დაასრულა სიცოცხლე დიდმა ქართველმა პოეტმა ბესიკმა და იქვეა დასაფლავებული. ხოლო ბესიკის საფლავის ქვა დღეს ქ. იასის მუზეუმშია დაცული). განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში იყო რუმინელებთან ცნობილი ქართველი მოღვაწე იონა გედევანიშვილი, რომელმაც დატოვა თავისი მოგზაურობის აღწერა, სადაც უდიდეს სიმპათიასა და სითბოს ამჟღავნებს რუმინელი ხალხისადმი.

ახალი ხანა რუმინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი წინსვლის ვითარებაში რუმინელმა ხალხმა მოიშორა ფაშიზმის უღელი და სოციალისტური განვითარების გზას დაადგა. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე (1947 წლიდან) საბჭოთა კავშირთან მეგობრობის რუმინეთის საზოგადოება, რუმინეთის მწერალთა კავშირი და რუმინელი მწერლები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ქართულ მწერლობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუმინეთში 3-ჯერ გამოიცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (რუმინულად არსებობს „ვეფხისტყაოსნის" ერთი პროზაული და ორი სრული პოეტური თარგმანი). რუმინელი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია „დიდოსტატის მარჯვენა", გ. ლეონიძის „რჩეული ლექსები", ლ. ქიაჩელის „მამა და შვილი" და „გვადი ბიგვა", „ქართული ხალხური ზღაპრები", რუმინულ პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში დაბეჭდილია აგრეთვე: ბესიკის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, გრ. აბაშიძის ლექსები. ქართველ მწერალთა თხზულებების თარგმანები შესრულებულია ცნობილი რუმინელი პოეტებისა და მწერლების რადუ ბოურიანუს, მიჰნია გეორგეუს, ვლაიკუ ბირნას, ტუდორ მაინესკუს, კონსტანტინე ნისიპიანუს, ჟორჟე დანის, მიჰაი შერბანისა და სხვათა მიერ. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი ქართული ლიტერატურის ძეგლების რუმინულად თარგმნის საქმეში მიუძღვის ჩვენი კულტურის დიდ მეგობარს ვიქტორ კერბასს, რომელმაც შესანიშნავი წიგნი დაწერა აგრეთვე საქართველოზე („მეინგარეისა და ნარინჯების ქვეყანა") და რუმინელ მკითხველს საშუალება მისცა გასცნობოდა საქართველოს. სულ ახლახან ახალგაზრდა რუმინელი პოეტი იონ დუმიტრუ ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემას შეუდგა.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე ორჯერ გამოვიდა დიდი რუმინელი პოეტის მიჰაი ემინესკუს ლექსები (გრ. აბაშიძის თარგმანით), ქართულ ენაზე ცალკე წიგნებად დაიბეჭდა აგრეთვე იონ ლუკა კარაჯალეს, იონ კრიანგეს, მიჰაილ სადოვიანუს თხზულებები და რუმინული ზღაპრები. გარდა ამისა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა რუმინელ მწერალთა ცალკეული ნაწარმოებები, წერილები რუმინულ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, რუმინეთის მიღწევებზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში და ბოლოს ამ სტრიქონების ავტორის წიგნი, რომელიც ქართველ მკითხველს აცნობს რუმინელი ხალხის ისტორიასა და ცხოვრებას.

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე უჩვეულოდ გაფართოვდა ქართველი და რუმინელი ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სცენაზე არაერთხელ იყვნენ მოწვეულნი რუმინელი მომღერლები (ზინაიდა პალი, ნიკოლაე ჰერლია, ლადისლავ კონია და სხვ), მოცეკვავენი (მაგდალინა პოპა, სერჟიუ შტეფანსკი). საქართველოში კარგად იცნობენ რუმინელ ესტრადის მსახიობებს და სხვ. რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ი. ლ. კარაჯალეს „დაკარგული ბარათი". რუმინეთში საგასტროლოდ იყვნენ: ქართული ცეკვის ანსამბლი, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი, ცალკეული ქართველი მომღერლები და ესტრადის მსახიობები.

დიდი პოპულარობით სარგებლობს რუმინეთში ქართული კინოხელოვნება და ქართველი კინოს მოღვაწეები, ეს ჩემთვის ცხადი გახდა არა მარტო იმ მრავალრიცხოვანი წერილებით, რომლებიც რუმინულ პრესაში იბეჭდებოდა, არამედ აგრეთვე რიგით რუმინელებთან შეხვედრების დროსაც. უკანასკნელ დროს დიდ ინტერესს იჩენენ რუმინელები ქართული ფერწერის ოსტატთა (ფიროსმანის, გუდიაშვილის, კაკაბაძის და სხვ.) და ქართული ჭედურობის (ი. ოჩიაურის, კ. გურულის) ნამუშევრებისადმი. ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის დარგში განსაკუთრებით დიდ საქმეს აკეთებს ჟურნალი „ვეაკ ნოუ" („ახალი საუკუნე") და მისი განყოფილების გამგე ჟურნალისტი იულია სკუტარუ.

გაფართოვდა ქართველ და რუმინელ მეცნიერთა კავშირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ დ. თავხელიძისა და იასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის დ. მანგერონის მეცნიერული თანამშრომლობა, პროფესორ გ. ზერიძის ურთიერთობა რუმინელ ხელოვნებათმცოდნეებთან, პროფესორ პ. წულუკიძის კავშირი რუმინელ ჰიდრომშენებლებთან (პ. წულუკიძე კონსულტანტად იყო მიწვეული ბიკაზის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე), ქართველი და რუმინელი მათემატიკოსების, გეოლოგების, გეოგრაფების მეცნიერული კონტაქტები და სხვ.

ქართველი და რუმინელი ხალხების მეგობრობას მტკიცე საფუძველი აქვს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო რუმინელო მეგობრებო!

ვ. მამარაძე,

პროფესორი, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი.





ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტურმა რუმინეთმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. სურათებზე: მეტალურგთა ქალაქ ხუნედოიარის პანორამა (მარცხნივ ზემოთ); ბუქარესტის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის ახალი პროდუქცია — თვითმავალი კომბაინი — „გლორია-ც-12" (ზემოთ); გალიცკის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედე ღუმელი (ქვემოთ).

მარტოდმარტო საჰარაში

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისელმა მწერალმა და მოგზაურმა ჯეფრი მურჰაუზმა ამას წინათ განაცხადა, რომ განზრახული აქვს მარტომ გადალახოს საჰარა და რომ მისი ტრანსპორტი აქლემი იქნება.

მამაცი მოგზაურის მარშრუტი შეადგენს 3600 მილს. იგი დაიწყება ატლანტის სანაპიროდან და ნილოსთან დამთავრდება. ამ უზარმაზარი უდაბნოს გადალახვის ერთადერთი პრეცედენტია გერმანელი ზორნემანის ექსპედიცია გასული საუკუნის დასასრულს. მაგრამ იმ მოგზაურობის მანძილი ორჯერ უფრო მოკლე იყო. თვით მურჰაუზის გაანგარიშებით, რომელმაც უნდა გადაკვეთოს მავრიტანია, მალი, ალჟირი, ლიბია და ეგვიპტე, მოგზაურობას ერთი წელიწადი დასჭირდება. იგი თან წაიღებს მხოლოდ სექსტანტს, კომპასს, საათსა და პატარა აფთიაქს.

ექსპედიციისათვის მზადების ერთ-ერთი ურთულესი ეტაპი აქლემზე ჯდომის სწავლა იყო. მურჰაუზი გაკვეთილებს ლონდონის ზოოპარკში იღებდა და ამისათვის იყენებდა აქლემებს, რომლებითაც ჩვეულებრივ ბავშვებს ასეირნებენ.

ჯეფრი მურჰაუზს გადაწყვეტილი აქვს ერთთვიანი აკლიმატიზაცია გაიაროს მავრიტანიაში და მოგზაურობა ნოემბრის ბოლოს დაიწყოს. „მე აუცილებლად დავწერ ამის შესახებ წიგნს, ცოცხალი თუ დავრჩი", — განაცხადა მან.

წარსულის ნაშთები

კოლუმბიის სამხრეთში განლაგებული უცნობი ადგილი პუპიალესი არქეოლოგიური მეკა გახდა. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოეშურებიან წარსულის მოტრფიალენი. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ აქ აღმოაჩინეს ინდიელი ბელადის სამარხი, რომელშიც მრავალრიცხოვანი ოქროს ნაკეთობანი და სხვადასხვა სამკაულები აღმოჩნდა. წინასწარი შესწავლის საფუძველზე მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ბელადი დაახლოებით 1450 წელს გარდაიცვალა, ე. ი. იმ დრომდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე კოლუმბიაში პირველი ევროპელები გამოჩნდებოდნენ. ისტორიკოსებს იმედი აქვთ, რომ ნაპოვნი ნივთების შესწავლა შეავსებს არც თუ მრავალრიცხოვან მონაცემებს ამ ადგილებში ოდესღაც მცხოვრებ ინდიელთა ცივილიზაციის შესახებ.

ცნობილია, რომ ევროპელთა მოსვლამდე კოლუმბიის ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერი ტომი ჩიბჩა იყო. სამწუხაროდ, მათ შესახებ ცნობები ძალზე მცირეა. პირველ დამპყრობელთა ცოტაოდენი ჩანაწერები ბევრს ვერაფერს ამბობს მათი ზნე-ჩვეულებებზე. ჩიბჩას ტომის ინდიელებმა დააარსეს სახელმწიფო, რომელსაც კუნდინამარკა უწოდეს. სახელმწიფოს სათავეში იდგა მმართველი, რომელიც თავის თავს მთვარის, მზის ან სხვა ციური სხეულის ღმერთთან აიგივებდა.

1538 წელს ესპანელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს კუნდინამარკა, დაიწყო ინდიელთა მოსპობის პერიოდი. კოლონიზატორები ყველაფერს ანგრევდნენ, ოღონდ ოქრო ეშოვნათ, უძვირფასეს ნაკეთობებს ადნობდნენ. ასე დაიღუპა ინდიელთა კულტურის უნიკალური ნიმუშები. სწორედ ჩიბჩას და ლათინური ამერიკის სხვა ტომების სიმდიდრე დაედო საფუძვლად ლეგენდას ელდორადოს — „ოქროს ქვეყნის" შესახებ. ესპანელებმა მრავალი ექსპედიცია მოაწყვეს ელდორადოს საძებნელად. ეძებდნენ ოქროს ჩიბჩას მიწაზეც. დაპყრობის შემდეგ არაერთხელ შეეცადნენ გუატავიტას ტბიდან ამოეღოთ ოქროს სამკაულები, რომლებსაც ლეგენდის მიხედვით ყრიდნენ ტბაში. არხების საშუალებით ტბაში წყლის დონე მნიშვნელოვნად დასწიეს, ყველაზე გაბედულმა მყვინთავებმა ტბიდან საყურეები, ბეჭდები და სხვა სამკაულები ამოიღეს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ტბის ფსკერზე კვლავ ინახება ინდიური ხელოვნების შედევრები.

პუპიალესში ნაპოვნი ოქროს ნივთები გადაეცემა კოლუმბიის დედაქალაქის მუზეუმს, სადაც სპეციალისტები შეისწავლიან მათ.

საბჭოთა და ამერიკელ სპეციალისტთა შეხვედრა დამთავრდა

მოსკოვში 19 ოქტომბერს დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შერეული სამუშაო ჯგუფების შეხვედრა 1975 წლისათვის დაგეგმილი „სოიუზ-აპოლონის" ექსპერიმენტული ფრენის პროგრამის შესახებ. ამ ჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლები.

საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების დაახლოებისა და შეპირაპირების ერთობლივი სისტემების გამოცდის მიზნით ამ ექსპერიმენტული ფრენის მოწყობა გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა 1972 წლის 24 მაისის შეთანხმებით.

თათბირის მიზანი ის იყო, რომ განეხილა კერძო ტექნიკური ამოცანები და შეეთანხმებინა ერთობლივი ტექნიკური და ორგანიზაციული დოკუმენტები ექსპერიმენტული ფრენის მომზადებისა და მოწყობის შესახებ.

მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატება პროექტში დასახული საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, შეთანხმებულია „სოიუზისა" და „აპოლონის" ხომალდებში წნევის სიდიდე შეპირაპირებულ მდგომარეობაში, განხილულია ეკიპაჟების მოქმედება გადასვლის დროს, დაზუსტებულია სტარტის შესაფერი დრო და ფრენის ბალისტიკური სქემა, განხილულია ხომალდების ორიენტაციის საკითხები დაახლოებისა და შეპირაპირების დროს.

გარდა ამისა, გრძელდებოდა სამუშაოები დოკუმენტაციის გამოშვებისათვის, შედგენილია გრაფიკები ამ პროექტზე ინფორმაციის შემდგომი გაცვლისა და პროექტის უფრო კონკრეტული საკითხების განხილვისათვის.

შერეულ სამუშაო ჯგუფებს მეთაურობდნენ პროექტის ტექნიკური დირექტორები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. ბუშუევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან და დოქტორი გლინ ს. ლანი აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოსაგან. მომავალ წელს დასახულია სამუშაო ჯგუფების პერიოდული შეხვედრები, რომლებიც გაიმართება როგორც სსრ კავშირში, ისე შეერთებულ შტატებში.

რეაქციის გეგმები განწირულია

სანტიაგო. 21 ოქტომბერი. (საქდესი). „რეაქციის ძირგამომთხრელი გეგმა განწირულია ჩასაფუშავად. ხალხს მტკიცედ უპყრია თავი და ბევრი რეზერვი, ბევრი ძალები ყავს, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ბრძოლაში, რათა დავამარცხოთ რეაქცია", — განაცხადა ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა გაზეთ „სიგლოს" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

ლუის კორვალანმა აღნიშნა, რომ ავტობუსების მფლობელთა საბოტაჟი, მემარჯვენე ექსტრემისტთა ცდები გამოიწვიონ შფოთი ქუჩებში და ხელი შეუშალონ სასურსათო მაღაზიების ნორმალურ მუშაობას, რეაქციის უკანასკნელი ღონისძიებებია, რადგან შეთქმულთა ზრახვები ჩაიფუშა.

იძულებითი აღიარება

ვაშინგტონი. 21 ოქტომბერი. (საქდესი). შეერთებულმა შტატებმა დღეს აღიარა, რომ პასუხისმგებელია ჰანოიში საფრანგეთის მისიის შენობის დანგრევისა და ერთ-ერთი ფრანგი დიპლომატის — პიერ სიუზინის დაღუპვისათვის, რაც მოხდა მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის დაბომბვის დროს.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ პენტაგონი არ აპირებს დამნაშავეთა დასჯას, რადგან საფრანგეთის წარმომადგენლობის დაბომბვა, მისი თქმით, „უბედური შემთხვევა იყო".

წარმატების შანსი უმნიშვნელოა

ლუსაკა, 21 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ნამიბიაში ალფრედ ეშერმა ნამიბიის ქალაქ სვაკოპმუნდში გამოსვლისას განაცხადა, რომ მისი ახლანდელი მისია ნამიბიაში უკანასკნელი შანსია, რომელიც ეძლევა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას ნამიბიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

„თუ ჩემი მისია ჩაიშლება, ყოველგვარი მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ამ საკითხზე შეწყდება და საჭირო გახდება სხვა გადაწყვეტილების მიღება", — ხაზი გაუსვა ეშერმა.

ვინდჰუკიდან მიღებული ცნობების თანახმად, იქ მიაჩნიათ, რომ ა. ეშერის მისიის წარმატების შანსი უაღრესად უმნიშვნელოა პრეტორიის მთავრობის მიუღებელი პოზიციის გამო. როგორც ვიცით, რასისტები უკანონოდ უწევენ ოკუპაციას ნამიბიას და თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად ახორციელებენ აპარტეიდისა და რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკას.

ოჰირას მოლაპარაკება ვაშინგტონში

ვაშინგტონი. 21 ოქტომბერი. (საქდესი). აქ დამთავრდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ოჰირასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება. 17 ოქტომბრიდან ვაშინგტონში ყოფნის დროს ოჰირა შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს, სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

იაპონიის საელჩოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ოჰირამ განაცხადა, რომ მისი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გაეცნო მოლაპარაკება, რომელსაც იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტანაკა აწარმოებდა პეკინში ჩინეთის ხელმძღვანელებთან.

ვაშინგტონში მოლაპარაკების დროს განიხილეს იაპონია-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობა, კერძოდ, შეეხნენ საერთო უშიშროების შესახებ იაპონია-ამერიკის ხელშეკრულების შესრულებას. როგორც უკვე იუწყებოდნენ, პეკინში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ტანაკას მოლაპარაკების დროს, ჩინეთის მხარემ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ამ ხელშეკრულებისა.

უპასუხა რა კითხვებზე, ოჰირამ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა კვლავაც შექმნის პირობებს ამერიკული ტანკებისა და სამხედრო მოწყობილობის რემონტისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ვიეტნამში სახმარად. მან გაამართლა ეს საერთო უშიშროების შესახებ იაპონია-ამერიკის ხელშეკრულებით.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). 5 ქვეყანა აირჩიეს უშიშროების საბჭოს ახალ არამუდმივ წევრებად იმათ ნაცვლად, ვისი უფლებამოსილებათა ვადაც მიმდინარე წელს ამოიწურა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, ავსტრალიამ შეცვალა იტალია, ავსტრიამ — ბელგია, ინდონეზიამ — იაპონია, კენიამ — სომალი და პერუმ — არგენტინა.

უშიშროების საბჭოს არჩეულ არამუდმივ წევრთა მანდატს ორი წლის ძალა აქვს. ხუთი მუდმივი წევრის: სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე ეს-ის არის არჩეული ახალი არამუდმივი წევრების გარდა, საბჭოში შედის კიდევ ხუთი ქვეყანა (გვინეა, სუდანი, ინდოეთი, იუგოსლავია და პანამა), რომლებიც ერთი წლის წინათ იყვნენ არჩეული საბჭოში.

უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა შემადგენლობა სანახევროდ რომ განაახლა, გენერალურმა ასამბლეამ განაგრძო კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელების საკითხის განხილვა. ამ საკითხის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ინდოეთის, განის, თურქეთის, კამერუნის, ირანის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავღანეთის, უკრაინის სს რესპუბლიკის, სიერა ლეონეს, შვეციის, ნორვეგიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნების დელეგატები.

ორატორთა დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა პროგრესი დეკოლონიზაციის საქმეში და ამასთანავე ილაპარაკა კოლონიზატორთა ხრიკებზე, ჯიუტად რომ ებღაუჭებიან თავიანთ პრივილეგიებს. დისკუსიის თითქმის ყველა მონაწილემ დაგმო პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის პოლიტიკა, აგრეთვე ის მხარდაჭერა, რასაც ამ ქვეყნებს უწევენ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო და უწინარეს ყოვლისა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალი სახელმწიფოები.

ამერიკის სენატმა კვლავ დაუთმო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და დათანხმდა მთავრობის მოთხოვნაზე გამოეყო სამხედრო ობიექტების მშენებლობისათვის 2,3 მილიონი დოლარი (გაზეთებიდან).



— კიდევ გადაუგდე, თორემ ჩვენც მიგვაყოლებს.

ვ. ლომიძის ნახატი.

სოლიდარობას უცხადებენ

კარაკასი, 20 ოქტომბერი. (საქდესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას ვენესუელის პრეზიდენტმა რაფაელ კალდერამ თავისი მთავრობის სოლიდარობა გამოუცხადა ჩილეს სამართლიან ბრძოლას ამერიკის კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ეკონომიური ზეგავლენა მოახდინონ ამ ქვეყანაზე. ჩილესა და ვენესუელას შორის, — თქვა პრეზიდენტმა, —არსებობს მტკიცე და ურღვევი კავშირურთიერთობა.

რეაქციის ხრიკები

ნიუ-იორკი. 20 ოქტომბერი. (საქდესი). ამერიკის რეაქცია კვლავ დაბრკოლებებს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კანონიერი უფლების განხორციელებაში.

ვაშინგტონის შტატის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კომპარტიას ართმევს საშუალებას დაასახელოს თავისი კანდიდატები შტატის საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში. სასამართლომ მოითხოვა, რომ კომუნისტმა კანდიდატებმა დადონ ყბადაღებული „ლოიალობის ფიცი", რომელიც გათვალისწინებულია შტატში მოქმედი ანტიკომუნისტური „კანონით ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის შესახებ". კანონი მიღებული იყო მაკარტიზმის თარეშის დროს.

კომუნისტებმა მტკიცე უარი განაცხადეს დაედოთ „ლოიალობის ფიცი", რადგან ეს იქნებოდა მათი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. მაშინ მათ უარი უთხრეს შტატის საკანონმდებლო კრების დეპუტატების კანდიდატებად რეგისტრაციაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა დაგმო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც უწოდა „ლაჩრული შეთქმულება შტატის მოსახლეობის უფლებების წინააღმდეგ, რათა ჩამოაშორონ არჩევნებში მონაწილეობას კანდიდატები, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს კერძო მოგების სისტემას".

„აპათია და სასოწარკვეთა"

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. საქდესის კორესპონდენტი ნ. ხეტუნსკი გვატყობინებს: შეერთებულ შტატებში დაიწყო წინასაარჩევნო ბრძოლის ბოლო სტადია. არჩევნებამდე ნახევარ თვეზე ცოტა მეტი დარჩა, ამერიკელი ამომრჩევლები კი კვლავაც ნაკლები ინტერესით ეკიდებიან მას.

„აპათია და სასოწარკვეთა" — ასე დაახასიათა ამომრჩეველთა განწყობილება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ე. ჰოლტცმანმა.

ნიუ-იორკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჰოლტცმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების მიმართ გულგრილობა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა „მოსახლეობის ღარიბ ფენებს და ახალგაზრდობას", აგრეთვე „მუშებს, მასწავლებლებს, წვრილ ბიზნესმენებს, დიასახლისებს", ამ ჯგუფის ამომრჩევლებს შორის გავრცელებულია „სკეპტიციზმი, გულგრილობა. მათი უმრავლესობა მტრულად არის განწყობილი პოლიტიკური ლიდერების მიმართ", განაცხადა მან.

როგორც ჰოლტცმანმა თქვა, საარჩევნო კამპანიის დროს მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის საზოგადოების ეს სოციალური ჯგუფები თავს „მიტოვებულად და უსუსურად" გრძნობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ „ქვეყნის თვით პოლიტიკური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ქმნის შესაძლებლობას მოატყუონ" მილიონობით ამერიკელი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წლის არჩევნებში „ძალზე ცოტა ამერიკელი" მიიღებს მონაწილეობას, ხაზგასმით აღნიშნა ჰოლტცმანმა.

ყოფილი სენატორი დემოკრატი ა. გორი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამომრჩევლები ინტერესს არ იჩენენ არჩევნებისადმი. „ამერიკელები, — აღნიშნავს იგი, — თავს მოტყუებულად გრძნობენ".

მღელვარება ყარაჩში

ყარაჩი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). პაკისტანის ლანდჰი-კორანგის სამრეწველო რაიონში ყველა საწარმო კვლავ დახურულია გაფიცვის გამო, რომელიც გამოცხადდა პოლიციის იმ მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი.

გაზეთი „მორნინგ ნიუსი" წერს, რომ ამ რაიონში დაპატიმრეს ორასზე მეტი კაცი. გზაჯვარედინებზე დგანან პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

პოლიციის მოქმედებამ, რომელმაც ამ რაიონის მუშების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, დიდი პროტესტი გამოიწვია ქვეყანაში. სხვადასხვა პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწყობენ მიტინგებს, გმობენ ხელისუფალთა მოქმედებას და აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას შრომის დარგში.

სხვადასხვა მიდგომა

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). ევროპის ცხრა ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირის მუშაობის პირველმა დღემ ცხადყო რომ მონაწილეთა შეხედულებანი მნიშვნელოვნად განსხვავდება „საერთო ბაზრის" განვითარების მომავალი გზების შესახებ.

თავიანთი ქვეყნების პოზიციები ჩამოაყალიბეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა, იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ანდრეოტიმ და სხვებმა.

ბრიტანეთის პრემიერმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაცია. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ევროპის ეკონომიურმა გაერთიანებამ მსხვილი მონოპოლიებისა და კონცერნების ინტერესებისათვის განახორციელოს თავიანთი ხასიათით ზეეროვნული კომპანიების წახალისების პოლიტიკა და ამ მიზნით მოსპოს საგადასახადო, საკანონმდებლო და ტექნიკური დაბრკოლებანი, უზრუნველყოს მონოპოლიებისათვის „თავისუფალი საქმიანობა" და გაბატონებული მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე.

გაერთიანების ზეეროვნული დაწესებულებების როლის ამაღლებაზე ილაპარაკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმაც, რომელსაც, კერძოდ, მხარი დაუჭირეს ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის დელეგატებმა. ამავე დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ თავის სიტყვაში გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელ ეტაპზე არ უნდა შეიტანონ ცვლილებანი რომის 1957 წლის ხელშეკრულებაში, რომელმაც განსაზღვრა ამ ზეეროვნულ დაწესებულებათა ფუნქციები.

საგულისხმოა, რომ თათბირზე მთელ რიგ გამოსვლებში აისახა მისწრაფება მხარი დაუჭირონ ამჟამად ევროპის კონტინენტზე მიმდინარე დაძაბულობის შენელებისა და ჭეშმარიტად სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარების მზარდ ტენდენციებს.

პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ განაცხადა, რომ საფრანგეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სავაჭრო ურთიერთობისა და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას სოციალისტურ ქვეყნებთან, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. მას ამ ურთიერთობის გაფართოება მიაჩნია დაძაბულობისა და უშიშროების შენელების ერთ-ერთ ელემენტად ევროპის კონტინენტზე.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ანდრეოტიმ წინადადება შეიტანა, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებმა განავითარონ ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაუთმო ვ. ბრანდტმა. კანცლერმა წამოჭრა აგრეთვე საკითხი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადების შესახებ.

თათბირის მუშაობის პირველი დღის დასასრულს მისმა მონაწილეებმა, როგორც ცნობილი გახდა, მიიღეს საფრანგეთის მიერ შეტანილი წინადადება 1973 წლის 1 აპრილამდე შეიქმნას „სავალუტო თანამშრომლობის ევროპის ფონდი" და შეათანხმონ ერთობლივი ღონისძიებანი ინფლაციასთან საბრძოლველად.

ძებნა გრძელდება

მეხუთე დღეა გრძელდება იმ თვითმფრინავის ძებნა, რომელიც ჭექა-ქუხილის დროს დაიკარგა ქალაქ ანკორიჯის რაიონში (ალასკის შტატი). როგორც უკვე ვაუწყებდით, ამ ორმოტორიან თვითმფრინავში იყვნენ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი ჰეილ ბოგსი, კონგრესმენი ალასკის შტატისაგან ნიკ ბეგიჩი და ზოგიერთი სხვა პირი.

თვითმფრინავის ძებნაში მონაწილეობს შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების 40 თვითმფრინავი, ასამდე სამოქალაქო თვითმფრინავი, აგრეთვე სამთომეთხილამურეთა სპეციალური რაზმი. მიუხედავად ამისა, დაკარგული თვითმფრინავი დღემდე ვერ აღმოუჩენიათ. საძიებო ჯგუფების მოქმედებას მნიშვნელოვნად აძნელებს ქარბუქი, რომელიც ალასკის ამ ადგილებში მძვინვარებს. (საქდესი).

მსოფლიო დღეს

უცხოეთის ამბები

სკოლა და ცხოვრება

მოსწავლეები შეხვდნენ შრომის ვეტერანებს

ამ დღეებში მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ფეიქრებმა შეხვედრა მოუწყეს პირველი მაისის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებს. ამ შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდობისათვის ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ამ მძლავრი საწარმოს გაცნობა და საუბარი პროფესიის არჩევაზე.

რაიონის ახალგაზრდობას საინტერესო სჯა-ბაასი გაუმართეს კომბინატის ვეტერანმა მუშებმა, კომუნისტური შრომის დამკვრელებმა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერმა-მუშაკებმა.

სწორი პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობაზე, საზოგადოებაში თითოეული ახალგაზრდის მიერ მოქალაქეობრივი ღირსების დამსახურების, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსვლის პრობლემების თაობაზე კომბინატის სააქტო დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდებს ესაუბრნენ პარტიის პირველი მაისის რაიკომის მეორე მდივანი ო. გორდელაძე, პროფესორი ვ. ქავჩახია, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გ. ჯოხარიძე, რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. აბულაძე, კომბინატის ცნობილი ფეიქარი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ქემაშვილი, კომბინატთან არსებული № 24 ტექნიკური სასწავლებლის აღზრდილი, მოწინავე მუშა თ. ზარიძე, საწარმოს ვეტერანი მუშა ე. გაბისონია. № 24 ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე დ. შენგელია, ამავე სასწავლებლის დირექტორი ჟ. ძიძიგური, კომკავშირის პირველი მაისის რაიკომის მეორე მდივანი ნ. ბალამწარაშვილი, პროკურორის თანაშემწე ა. შაყულაშვილი.

მოსწავლე ახალგაზრდობამ და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ინტერესით მოისმინეს შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვები. შემდეგ დაათვალიერეს კომბინატის საამქროები, გაიცნეს წარმოების მოწინავე ადამიანებს.

ლ. ხერხეულიძე.

• • •

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი (მარცხნიდან მეოთხე) ესაუბრება პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ფეიქრებს.

ავტორის ფოტო.

სპექტაკლი ყინულის სამყაროში

უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ გასტროლები თბილისში

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც გასტროლები დაამთავრა ჯორჯ ბალანჩინის (ბალანჩივაძის) საბალეტო დასმა. მათმა გამოსვლებმა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში დიდი წარმატებით ჩაიარა. ამერიკელთა კონცერტები ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ქუჩებში გამოჩნდა აფიშები, რომლებიც გვაუწყებდნენ, რომ თბილისში სპორტის სასახლეში გამოსვლებს იწყებს უკრაინული ანსამბლი „ბალეტი ყინულზე“ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ვრონსკის (ნადირაძის) ხელმძღვანელობით.

1969 წლის გასტროლებთან შედარებით უკრაინელი მსახიობები ამჯერად თბილისელთა წინაშე წარსდგნენ სრულიად განახლებული პროგრამით და კვლავ სიამოვნება მიგვანიჭეს თავიანთი მრავალფეროვანი ხელოვნებით. წარმოდგენის სახელწოდებაა „რაზე მღეროდა ტრემბიტა“. მუსიკა დაწერილია უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ კ. დომინჩენის მიერ. ლიბრეტო და დადგმა ეკუთვნის ვ. ვრონსკის, მხატვრული გაფორმება ა. ვოლნენკოს, ე. გაკებუშს და ა. გორილიკს.

უზარმაზარი სპორტის სასახლის დარბაზი მაყურებლებით გაივსო. ფანფარების ხმებმა გვამცნეს, რომ წარმოდგენა დაიწყო. პირველი შთაბეჭდილებით თითქოს ჩვეულებრივი საბალეტო სპექტაკლია! მაგრამ სულ მალე სრულიად სხვა სამყაროში გადავდივართ: ქორეოგრაფია თავისებურია, რიტმიკა განსაკუთრებული, ცეკვა და სპორტი შერწყმულია ერთმანეთში, ყველაფერი სხვანაირია. ქორეოგრაფიის ენით ცეკვაში გამოხატულია გრძნობები, ხასიათები, ადამიანების ბუნება და თვითეული მოქმედი პირის ინდივიდუალობა. მაყურებელს და განსაკუთრებით ქართველობას შეუმჩნეველი არ რჩება მაღალი პროფესიული ოსტატობა ვ. ვრონსკისა, კერძოდ კი ის, რომ პროგრამას წითელ ზოლად გასდევს ქართული ილეთების გამოყენება სხვადასხვა საცეკვაო სიტუაციაში.

შემსრულებლებიდან ქების ღირსია საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონის გ. გრუშკოვსკაიას, უკრაინის ათგზის ჩემპიონის ი. ორლოვის, უკრაინის დამსახურებული არტისტების ლ. ტეპოს და ი. კრუჩკოვის და სხვების დახვეწილი ტექნიკა, ყინულის „იატაკის“ შეგრძნება და თავისი საქმის დიდი სიყვარული.

პროგრამის მეორე ნახევარი მთლიანად დათმობილი აქვს საკონცერტო განყოფილებას, რომელშიც უდავოდ საინტერესო დადგმებია, მაგრამ მინდა აქვე აღვნიშნო ისიც, რომ ზოგიერთი ნომერი ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას და მეტწილად გულგრილს სტოვებს მაყურებელს. რამდენიმე საცეკვაო ნომერი გადაწყვეტილია ვრონსკის, ტრიუკების მთელი კასკადის ფორმით. შემსრულებლებს აქ გამოუჩენიათ ოსტატობა, დახვეწილი ტექნიკა, რაც უდავოდ საქებია.

მაყურებლის დიდ სიმპათიას იწვევს რუსული და ბოშური ცეკვები, რომლებიც დადგმულია ეროვნული კოლორიტით. ყველა ცეკვა სრულდება შთაგონებით, გატაცებით. მშვენიერია, ქების ღირსია რუსული კოსტიუმები, რომლებიც თავისი სილამაზითა და ქარგულობით განთქმულია მთელ მსოფლიოში.

ფინალს, რომელშიც მთელი დასი მონაწილეობს, ეწოდება „ახალგაზრდობის დღესასწაული“. ბალეტმეისტერი ისწრაფვის, რომ მაყურებელს უჩვენოს სიცოცხლის სიხარული, ახალგაზრდობის, სილამაზის პარადი, ის დიდი უშრეტი ენერგია, რასაც ახალგაზრდობა ფლობს.

ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ მაღალპროფესიული, შემოქმედებითი კულტურა მასთან შეხვედრას სასიხარულოს და უაღრესად შთამბეჭდავს ხდის. მოძმე უკრაინის მსახიობთა გასტროლები ჩვენს დედაქალაქში მიმდინარეობს საბჭოთა ხალხების დიდი საიუბილეო დღესასწაულის წინ, ჩვენ გვახარებს მათთან შეხვედრა. ეს გასტროლები ახალ ფურცელს შლის ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში, ვუსურვებთ ანსამბლის ხელმძღვანელს და მთელ კოლექტივს ახალ წარმატებებს და შემოქმედებით გამარჯვებებს.

რ. მაჩაიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: მარცხნიდან — სცენა უკრაინის ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ საგასტროლო წარმოდგენიდან; ზემოთ — ანსამბლის სოლისტები ე. ვიზენტალი და ვ. პოდლოგიი ასრულებენ „ტანგოს“.

ცისფერი ალი სიღნაღში

სიღნაღი, (საქ. კორ. ტელეფონით). რაიონის მშრომელები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა ბუნებრივი გაზის ცისფერი ალი მათ სახლებშიც აინთებოდა, და აი ეს დღეც, 21 ოქტომბერი. ქალაქ სიღნაღის ცენტრში, სადაც ბუნებრივი გაზის პირველი კერა აინთო, აუარებელმა მშრომელმა მოიყარა თავი. ყველა მათგანს — დიდსა თუ პატარას აინტერესებდა თავისი თვალით ენახა ცისფერი ალის ელვარება.

სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა, მან ილაპარაკა იმ დიდ სიკეთეზე, რასაც ბუნებრივი გაზის გამოყენება შეიტანს სიღნაღის რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში.

სიღნაღის რაიონის მშრომელებს ეს სიახლე მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. ბარძიმოვმა.

რაიონის მშრომელების — მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის სახელით ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი მადლიერებით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს ე. დალაქიშვილმა, ი. ამირანიძემ, გ. ოქრუაშვილმა, ლ. ქართველიშვილმა.

რაიონის მშრომელებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს დღე და იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც გადმოლახეს მთა და ბარი ქარსა და წვიმაში, ყინვასა და პაპანაქებაში. შრომობდნენ, რკინას რკინაზე ადუღებდნენ, რომ ახალი სიხარულის ცეცხლი დაენთოთ მშრომელთა ოჯახებში.

გზების ახალი „ანბანი“

1973 წლის 1 იანვრიდან ჩვენს ქვეყანაში შემოღებულ იქნება ახალი „გზებზე მოძრაობის წესები“.

ეს წესები შესაძლებლობას მოგვცემენ უფრო სრულად გამოვიყენოთ მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებანი. მაგალითად, გადატვირთულ საქალაქო გზაჯვარედინებზე ამჟამად ახლებურად იმოქმედებენ შუქნიშნები. მანამდე, სანამ მწვანე შუქი აინთება, რაც ნიშნავს, რომ გზა თავისუფალია, წითლის დამატებით აციმციმდება ყვითელი შუქი. გზაჯვარედინთან მისულ ავტომობილის მძღოლს ამ შემთხვევაში არ დასჭირდება დაამუხრუჭოს მანქანა, ვინაიდან ერთდროულად ანთებული შუქნიშნის წითელი და ყვითელი სინათლე ნიშნავს, რომ მას მალე მისცემენ „მწვანე ქუჩას“. ახალი წესი უზრუნველყოფს უფრო ზომიერ მოძრაობას გზაჯვარედინებიან მაგისტრალებზე.

სავალი ნაწილის უკეთ გამოყენებას ხელს შეუწყობს ტრანსპორტის ნაკადების გადანაწილება, ზოლების გამოყოფა. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ შაბათს ქალაქიდან მიმავალი მანქანების ნაკადი იზრდება, ხოლო კვირა საღამოს უფრო მეტი ავტომანქანა შემოდის ქალაქში. ახალი წესები ითვალისწინებენ ამ გარემოებას. თუ მაგისტრალი სამზოლიანია, მაშინ შაბათს ავტომობილებს შეუძლიათ ქალაქიდან გავიდნენ ორი ზოლით, ხოლო კვირას — პირიქით. ასეთ რეგულირებას უზრუნველყოფენ სპეციალური შუქნიშნები. საგზაო ნიშნების საერთო რაოდენობა 78-დან 126-მდე იზრდება.

ახალი სისტემა საშუალებას მოგვცემს უფრო მოქნილად გამოვიყენოთ ეს ნიშნები და გავაფრთხილოთ მძღოლები მოძრაობის მარშრუტებისა და კონკრეტული საშიშროების შესახებ. საგზაო ნიშნები უკეთ რომ იკითხებოდეს, გადიდდა მათი ზომები. წინათ წრის დიამეტრი 550 მილიმეტრი იყო, ახლა 700 მილიმეტრია, ხოლო სამკუთხა ნიშნის მხარე 350 მილიმეტრით გადიდდა. ცალკეულ შემთხვევებში გამოვიყენებთ 1.200 მილიმეტრი დიამეტრის ნიშნებს და 1500-მილიმეტრიან სამკუთხედს, რომლებიც აღიჭურვებიან შუქის წყაროებით ან დაიფარებიან სინათლის ამრეკლავი აფსკით. გაიზრდება საჩვენებელი ნიშნების რაოდენობაც.

შემოღებულია ავარიული გაჩერების სპეციალური ნიშანი. იგი თვითეულ ავტომობილს უნდა ჰქონდეს და მძღოლმა უნდა დადგას მანქანიდან 25-30 მეტრზე, თუ მოხდება ავარია ან დაზიანება.

გზებზე მოძრაობის ახალ წესებს მძღოლთა მთელი შემადგენლობა შეისწავლის და მათი ცოდნა შემოწმდება უშუალოდ ავტომეურნეობებში ადმინისტრაციის ძალებით. სახელმწიფო ავტოინსპექცია არ გეგმავს მოაწყოს ასეთი შემოწმება. გამოცდებს ჩააბარებენ მხოლოდ ის შოფრები, რომლებიც დაარღვევენ მოძრაობის წესებს. (საკდესი).

„კომუნისტის“ რეიდი

თვალს ნუ მოვარიდებთ

სასტიკი ბრძოლა სპეკულანტებს, ქორვაჭრებს!

ამას წინათ თბილისის ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზარში ხორცის გამყიდველმა დ. ტასალომ მომხმარებლის სამართლიან შენიშვნას [illegible] დარტყმით უპასუხა. წუთისოფელს გამოასალმა კაცი, რომელსაც ბაზრიდან შინ ოჯახისათვის უნდა მიეტანა სურსათ-სანოვაგე.

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს — თუ როგორ გათავხედდნენ ის ბოლო გზით გამდიდრებული ქორ-ვაჭრები, როგორ აბუჩად იგდებენ ისინი მშრომელ ადამიანებს — მომხმარებლებს.

ცხადია, საბჭოთა მართლმსაჯულება მთელი სიმკაცრით დასჯის მკვლელს, ნამდვილ სარეველას. მასთან ერთად სასტიკად უნდა დაისაჯონ, ხალხის მთელი რისხვა უნდა იგემონ იმ მუქთახორებმა, სპეკულანტებმა, რომლებიც ბაზრებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ირგვლივ ტრიალებენ და თავიანთი ბოროტი საქმიანობით ხელს უშლიან საერთო საქმეს.

მუქთახორობისათვის ნასამართლევი გურამ მინასაშვილი თბილისში ვორონინის ქუჩაზე ცხოვრობს. საზოგადოებრივ შრომას გაურბის. მეზობლებს, ნათესავებს ბევრჯერ შეუმჩნევიათ იგი დილაობით ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელთან.

იმ დღეს კი მას ლაგოდეხის რაიონში მოუხდა გამგზავრება. შეიძინა 280 კილოგრამი პამიდორი. კოლმეურნის ნაკვეთში შეიყვანა სატვირთო ავტომანქანა, ფრთხილად დააწყო ყუთები, თბილისისაკენ გამოსწია და საკოლმეურნეო ბაზარში 60 კაპიკად ნაყიდ კილო პამიდორს 3 მანეთად ჰყიდდა.

მუქთახორა გურამ მინასაშვილის ქორ-ვაჭრობას სწორედ იმ დღის დაესვა წერტილი.

როგორც ვიცით, დმანისელი კოლმეურნეები აქტიურად გამოეხმაურნენ პატრიოტულ მოწოდებას — მიეცათ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები თბილისისა და რუსთავის მშრომელებს! უხვი მოსავლით დატვირთული ავტომანქანების კოლონები მოადგნენ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებს.

მაგრამ სარეველამ აქაც წამოყო თავი. დმანისელმა სილიმ იუსუნოვმა, რომელსაც თოხი და ბარი დასანახავადაც კი ეზიზღება, კოლმეურნეებისაგან იყიდა 200 კილოგრამი კარტოფილი, კილოგრამში მისცა 40 კაპიკი და თვითონ თბილისის კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში 80 კაპიკად ყიდდა.

26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ჩვენ შევხვდით ვინმე ელერ მათიაშვილს. იგი ბაზარში ოჯახისათვის პროდუქტების შესაძენად როდი მოსულა. სოფელ მარტყოფიდან ჩამოიტანა 400 კილოგრამი კარტოფილი, იქ კილოგრამში 40 კაპიკი მიუცია, თბილისში კი კილოგრამს 80 კაპიკად ჰყიდდა.

ქალაქ რუსთავში მცხოვრებმა აბას ბადალოვმა, რომელიც წინათ [illegible] ნასამართლევი იყო, კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში 120 კილოგრამი პამიდორი დააწყო დახლზე და სხვის ნაოფლარს მამასისხლად ყიდდა.

შემოწმების დღეს რა ხილს არ ნახავდით დახლზე — ლოყაწითელ ვაშლებს, მსხალს, კარალიოკს. დახლთან კი იდგა და ვაჭრობდა თბილხილბოსტანვაჭრობის ავტომანქანის მძღოლი ი. ფირცხალავა. გამოირკვა, რომ ი. ფირცხალავამ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში 1.430 კილოგრამი კარალიოკი შეიძინა, კილოგრამი 20 კაპიკად, თბილისის საკოლმეურნეო ბაზარში კი კილოგრამს 50 კაპიკად ასაღებდა.

გარდაბნელ შარმენ ალიევს პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე არასოდეს არ უფიქრია, მაგრამ კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ყოველდღე მოჰქონდა დაკლული ძროხა, ცხვარი. გამოირკვა, რომ იგი გარდაბნის საკოლმეურნეო ბაზარში კოლმეურნეებს იაფად ართმევდა პირუტყვის ხორცს, მოჰქონდა თბილისში და მერე სამმაგ ფასში ჰყიდდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს არ შეემჩნია ამ ბაზრის ადმინისტრაციას.

ცოლ-ქმარი რაია და იონა დავარაშვილები ქალაქ გორში ცხოვრობენ. იქ ჩელუსკინელების ქუჩაზე არც ნიორი მოსდით და არც კაკლის ხეები უდგათ. მაგრამ საკოლმეურნეო ბაზარში ყოველდღე მიჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. იმ დღეს კი ნიგოზით და ნიორით ვაჭრობდნენ. შვიდ მანეთად ნაყიდ ნიგოზს თორმეტ მანეთად ასაღებდნენ.

საკოლმეურნეო ბაზრებში კვლავ დაბოდიალობენ მუქთახორები. ისინი დილაუთენია ბაზრის წინ ტრიალებენ, პროდუქტებით მოსულ კოლმეურნეს მომხმარებლებამდე არ უშვებენ, ამ პროდუქტებს იაფად ყიდულობენ და შემდეგ მამასისხლად ყიდიან.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს უფროსი ვ. კვანჭიანი კი ხშირად იწვევს თათბირებს ბაზრებში წესრიგის დამყარების საკითხებზე, მაგრამ რა ფასი აქვს ცარიელ ლაპარაკს და სხდომის ოქმებს, მითითებებს, თუ მათ ცხვირწინ თავისუფლად და შეუნიღბავად იპარპაშებენ სპეკულანტები, რომლებსაც ზოგიერთი ბაზრის ადმინისტრაცია კარგად იცნობს, მაგრამ თვალს ხუჭავს, ხელს აფარებს... ცხადია, ყოველივე ეს ქველმოქმედებით არ ხდება.

ზოგჯერ ეს სპეკულანტები თბილისის ცენტრალურ უბნებშიც დაძრწიან. ალიხან ნადოევი, რომელიც თბილისში ლიკანის ქუჩაზე ცხოვრობს, ერთ თვეში მოსკოვში შვიდჯერ გაფრინდა უცხოური საწოლების კომპლექტების ჩამოსატანად. შემდეგ 990 მანეთად ღირებული ავეჯი 2.100 მანეთად გაასაღა.

ორჯერ ციხეში ნაჯდომმა ალექსანდრე პოლოსოვმა, რომელიც თბილისში სპარტაკის ქუჩაზე ცხოვრობს, მოქალაქე ი. მიქელიანს ჩვიდმეტჯერ მეტ ფასში მიჰყიდა მოსაპირკეთებელი ფილები. მას აღმოაჩნდა სხვადასხვა ფერისა და ზომის, სამამულო და უცხოური ეს ძვირფასი სამშენებლო მასალა. საინტერესოა, საიდან?!

ხანდახან სპეკულანტები სახელმწიფო დაწესებულებებშიც კი თარეშობენ. ლოლა გოგიბერიშვილი, ულიანოვსკის ქუჩის მკვიდრი, მეხუთე საავადმყოფოში იქნა დაკავებული სწორედ მაშინ, როცა მუშა-მოსამსახურეებს და ავადმყოფებს სახელდახელო „მოძრავი მაღაზია“ გაუხსნა. მარტო ერთ ჩემოდანში 250 მანეთის ძვირფასი საცვლები, წინდები აღმოაჩნდა. საიდან ჩაუვარდა ხელში ამ სპეკულანტს ეს საქონელი: ან რატომ გაუღეს ასე ფართოდ სახელმწიფო დაწესებულების კარი და ნება დართეს საჯაროდ ეძარცვა მშრომელი ადამიანები?

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სავაჭრო ბაზებსა და საწყობებში, მაღაზიებში ხშირად საჭირო წესრიგი არ არის... ისინი იშვიათად როდი ხდებიან სპეკულანტებისა და მუქთახორების მომმარაგებლები.

აღმოჩნდა ასეთი შემთხვევაც. [illegible] ბაზის ყოფილმა საქონელმცოდნემ ე. ბოლქვაძემ კასპის სამკერვალო საამქროდან არ მიიღო საქონელი საწყობში მანამდე, სანამ სხვადასხვა მომიზეზებით 200 მანეთი არ გამოძალა მოსულს.

დადგინდა, რომ ე. ბოლქვაძე სახელმწიფო ქონების განიავებისათვის ადრეც იყო პასუხისგებაში ნამყოფი.

ნუთუ ასე არჩევენ კადრებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ან მისდამი დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაციები?

მართალია, უკანასკნელ ხანს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, სავაჭრო ქსელში, საკოლმეურნეო ბაზრებში, ქალაქში მტკიცე წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ, როგორც ჩანს, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

თვალი არ ავარიდოთ მუქთახორებს! სპეკულანტებს, ქორვაჭრებს! ვებრძოლოთ, ვამხილოთ ისინი. ეს თითოეული საბჭოთა მოქალაქის სისხლხორცეული საქმეა.

გარეწართა ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

„კომუნისტისა“ და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს რეიდის მონაწილენი. დ. ალანია — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი; **რ. ჩაჩავა** — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი; **ვ. კანანოვი** — მილიციის მაიორი; **ვ. სუხიშვილი** — ფეიქარი, კომუნისტური შრომის დამკვრელი; **თ. ოუხერელი** — დიასახლისი; **ზ. ჩიქვინიძე, ა. ბოცვირიძე** — „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ქვანახშირის ტრანსპორტირება წყლით

მილსადენები არა მარტო ნავთობისა და გაზის, არამედ აგრეთვე ქვანახშირის, ქვიშისა და ხრეშის ტრანსპორტირების ჩინებული საშუალება გამოდგა. ეს დაამტკიცა ბრატსკისა და კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ქვანახშირის მოპოვებისა და შახტების ჰიდრავლიკური ვსების პრაქტიკამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლიმატური ზონის პირობებში. მიმდინარე ხუთწლედში მოსალოდნელია, რომ ჰიდრომექანიზაციის საშუალებებით ორგანიზებული იქნება მრავალი ასეული მილიონი ტონა ქვანახშირისა და ინერტული მასალების მოპოვება და ტრანსპორტირება ენერგეტიკისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა საჭიროებისათვის. გაანგარიშებულია, რომ რამდენიმე ათეული მიწის სათხრელი მანქანა და კილომეტრობით მილსადენები სახალხო მეურნეობისათვის გაათავისუფლებენ მრავალ ათასობით ექსკავატორსა და ავტომანქანას, რომლებიც ჯერჯერობით საჭიროა ქვიშისა და ხრეშის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისათვის.

20 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენციამ, რომლის დროს სპეციალისტები განიხილავდნენ საკითხს, უკეთ როგორ მოაწყონ ჰიდრომექანიზაციის საშუალებებით ქვანახშირის, მადნეულის, ქვიშისა და ხრეშის მოპოვება და მათი ტრანსპორტირება მცირე და დიდ მანძილზე.

კონფერენცია მოაწყეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტრანსპორტის განვითარების სამეცნიერო პრობლემათა მუდმივმა კომისიამ. მის მუშაობაში, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა, საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების გარდა მონაწილეობდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ სპეციალისტთა მოხსენებებმა, კერძოდ ჰიდროტრანსპორტის დარგში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ა. ჯაარშიშვილის მოხსენებამ ჩვენს რესპუბლიკაში ჰიდრომექანიზაციის საშუალებებისა და ჰიდროტრანსპორტის გამოყენების პერსპექტივების შესახებ. (საქინფორმი).

მედლებისათვის ასე არ იბრძვიან...

ასეთია თითქოს ლოგიკა: როდესაც გუნდები გათამაშების ცხრილში ერთმანეთის სიახლოვეს დგანან, მათი პაექრობა შეუპოვარი და უკომპრომისოა. მით უმეტეს თუ ისინი მედლებისათვის იბრძვიან.

თავდაპირველად ასეც ხდებოდა. თბილისის დინამოელები და მათი გუშინდელი მეტოქეები — დედაქალაქის არმიელები ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სრული საბრძოლო შემადგენლობებითა და შემართებით გამოვიდნენ („დინამო“ — გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ნოდია, ყიფიანი).

არ გასულა ათიოდე წუთი, რომ გოგიას კარი აღებულ იქნა — 0:1. ბურთი ძლიერი დარტყმით გაიტანა ნახევარმცველმა ხისამუტდინოვმა.

ახლა „ჩვენი“ თბილისელებზე მიდგა... თამაშის მე-17 წუთზე გ. ნოდია ბურთიანად შეიჭრა საჯარიმო მოედანში და ახლო მანძილიდან ოსტატურად გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

ტაიმის დასასრულამდე აღსანიშნავი იყო კიდევ ორი მომენტი. ერთ შემთხვევაში (24-ე წუთზე) დოროფეევმა მოულოდნელად თავს ზემოთ გადაუგდო ჩვენს მეკარეს ბურთი, მაგრამ იგი ძელს მოხვდა. მეორე შემთხვევაში კი (36-ე წუთზე) კვლავ იზეიმეს თბილისელებმა — გუცაევმა ზედ საჯარიმო მოედნის ხაზიდან უძლიერესი და ულამაზესი გოლი გაიტანა — 2:1.

სამწუხაროდ ეს იყო და ეს... დინამოელთა მხრიდან. მოსკოველებმა ყოველივე იღონეს მატჩის გადასარჩენად, ხოლო შემდეგ მოგებისათვის. მათმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კოპეიკინმა შესვენების შემდეგ (50-ე და მე-60-წუთზე) ორი ბურთის გატანა მოახერხა.

2:3 — „ლენინგრადულ გაკვეთილს“ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთათვის, როგორც ჩანს, არაფერი ნაყოფი გამოუღია.

ფინიშის სწორზე

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის XXXIV ჩემპიონატი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდა — გუნდებს დარჩენილი აქვთ 2-5 შეხვედრა. გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

კიევის „დინამომ“ შინ გამანადგურებელი ანგარიშით 6:1 დაამარცხა ბაქოს „ნეფტჩი“.

ლენინგრადის „ზენიტი“ ერევნის „არარატს“ მასპინძლობდა და გაიმარჯვა — 2:0.

გათამაშების ლიდერს — ვოროშილოვგრადის „ზარიას“ გასვლითი მატჩი ჰქონდა დნეპროპეტროვსკში, „დნეპრთან“. ასპარეზობა მოიგო „ზარიამ“ — 2:1.

მოსკოვის დინამოელები მინსკში გამოდიოდნენ თანაკლუბელების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“. 1:0 — გაიმარჯვეს რკინიგზელებმა.

ლვოვის „კარპატი“ იღებდა როსტოვის არმიელებს და ორი ქულის მოპოვება შეძლო — 1:0.

პირველ ჯგუფში

უკვე ვიუწყებოდით ქუთაისის „ტორპედოს“ წარმატებულ გამოსვლაზე სვერდლოვსკში, დღეს კი გაცნობებთ პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის დანარჩენი მატჩების შედეგებს: ოდესის „ჩერნომორეცი“ — კიშინიოვის „ნისტრუ“ — 0:1, კრივოი როგის „კრივბასი“ — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — 2:1, ლენინგრადის „დინამო“ — ფრუნზეს „ალგა“ — 3:0, ხარკოვის „მეტალისტი“ — დუშანბეს „პამირი“ — 3:1, იაროსლავლის „შინიკი“ — ტაშკენტის „პახტაკორი“ — 1:3, ივანოვოს „ტექსტილშჩიკი“ — აშხაბადის „სტროიტელი“ — 1:0, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 3:1, ყარაგანდის „შახტიორი“ — ნალჩიკის „ავტომობილისტი“ — 1:1, პერმის „ზვეზდა“ — დონეცკის „შახტიორი“ — 0:0.

გათამაშების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა, რომლებიც 24 და 31 ოქტომბერსა და 4 ნოემბერს გაიმართება. განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, იწვევს მატჩები ლიდერების — ტაშკენტის „პახტაკორის“, ოდესის „ჩერნომორეცისა“ და დონეცკის „შახტიორის“ მონაწილეობით.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	26	15	7	4	47-24	37
ცსკა	28	15	3	10	36-31	33
„არარატი“	27	11	8	8	35-27	30
„დნეპრი“	27	10	10	7	34-34	30
„ზენიტი“	28	9	11	8	34-28	29
„დინამო“ (თბ.)	26	10	9	7	35-32	29
„დინამო“ (კ.)	25	10	8	7	41-29	28
„დინამო“ (მ.)	26	12	4	10	37-29	28
„დინამო“ (მნ.)	27	9	10	8	26-26	28
„ტორპედო“	27	10	8	9	28-30	28
„სპარტაკი“	25	8	7	10	26-24	23
სკა	27	7	9	11	28-32	23
„კაირატი“	27	5	13	9	19-24	23
„კარპატი“	27	8	7	12	23-37	23
„ლოკომოტივი“	28	5	9	14	26-41	19
„ნეფტჩი“	27	5	7	15	24-51	17

არმიელთა ჩემპიონატი

მეგობრული არმიების პირველობის მეექვსე ტურში ყურადღების ცენტრში იყო საპრიზო ადგილების პრეტენდენტების მ. პოდგაეცისა და ლ. ცინის (გდრ) პარტია, რომელიც პოდგაეცის გამარჯვებით დასრულდა. ე. უბილავამ დაამარცხა რ. პოსტლერი (გდრ), ი. ადამსკიმ (პოლონეთი) — ე. პრანდშტეტერი (ჩეხოსლოვაკია). ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ლოკოსტო (პოლონეთი) და ვ. ლიბერზონი. სამი პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ წინ არის ოსტატი ლ. ვადაში (უნგრეთი), რომელსაც 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. 4 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა საერთაშორისო ოსტატმა მ. პოდგაეცმა.

ბრინჯაოს მედალოსნები

კრასნოიარსკში გამართულ სსრ კავშირის სამბისტთა ჩემპიონატზე, მესამე პრიზიორები გახდნენ თბილისელი მოჭიდავეები ჯიბინო ნიჟარაძე და როინ ქაიხოსროშვილი და ხაშურელი რამაზ ხარშილაძე.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

20 ოქტომბერს მოსკოვში, ცენტრალური ტელევიზიის ერთ-ერთ სტუდიაში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟი.

ამჯერად „ბედნიერი“ გამოდგა შემდეგი ნომრები და სპორტის სახეობანი: 5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 30 (საიალქნო სპორტი), 31 (ცურვა), 34 (ხელბურთი), 41 (ჩოგბურთი).

შემდეგი ტირაჟი 30 ოქტომბერს გაიმართება ვოროშილოვგრადში. (საკდესი)

სპორტი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

22 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ბავშვებისათვის, დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა პეტროზავოდსკიდან), 11.00 — „კინოაფიშა“, 11.30 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 13.30 — ბავშვებისათვის. ქართული მხატვრული ფილმი — „მამლუქი“, 15.00 — საესტრადო კონცერტი, 15.30 — დოკუმენტური ფილმი — „დუბნა“ (ქართულ ენაზე), 16.20 — მოსწავლეთათვის „არტეკელები“, 16.50 — სპორტული პროგრამა, 17.25 — კონცერტი. „მღერის თინგიზ ზაალიშვილი“, 17.50 — პოეტი სტუდიაში — ვ. სოლოუხინი, 18.05 — „ხვალ — რადიოთი“, 18.10 — „საფორტეპიანო მუსიკის სათავეებთან“, 18.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“, 19.40 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — „კინოლექტორიუმი“, 21.45 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „კინოლექტორიუმი“ (გაგრძელება).

მეორე პროგრამით

19.05 — პირველად ტელეეკრანზე. მხატვრული ფილმი „შემართება“, 20.35 — კონცერტი. 21.25 — სატელევიზიო ფილმი „მდინარე და და“.

23 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — კინონარკვევი — „დილა ფერმაზე“, 18.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: „ცეროდენას ეკრანი“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — საპატიო ეკრანი“, 19.10 — „გაუფრთხილდით ბუნების საუნჯეს“, 19.40 — „მხატვრული კითხვის ოსტატები“ (სტუდიაში — ტ. საყვარელიძე), 20.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ხვალ — რადიოთი“, 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინონარკვევი „ახალი სარწყავი მანქანები“, 21.20 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ცხოვრებისაკენ მობრუნება“ (I სერია).

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მეშვიდეკლასელთათვის. „ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობანი“), 17.50 — შრომითი პოლიტექნიკური სწავლება (ლითონების დამუშავება), 18.35 — განცხადებები, — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — 18.40 — ზოგად ქიმიაში, 19.40 — ფილოსოფიაში; 20.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ცოცხალი წყალი“.

თეატრები

22 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხიდი** (დღისით), **ბებერი მეზურნეები** (საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — **დავიწყებული ამბავი** (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხსოვნა გულისა** (დღისით), **ქორწინება** (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს** (დღისით), **ქურქას ქორწილი** (საღამოს).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივანი — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02721 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.